VI კურსი მეანობა გინეკოლოგია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მკურნალობის რომელი მეთოდის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი პრეეკლამფსიის დროს?
\\\ კალციანტაგონისტები
\\\ ანტიკონვულსანტები
\\\ კორტიკოსტეროიდები
\\ დიურეტიკიები

\\\\ მშობიარობის შემდეგ პაციენტმა დაკარგა 800მლ სისხლი, ჩატარებულმა ლაბორატორიულმა კვლევამ დადგინდა, რომ პარციალური ტრომბოპლასტინური დრო 1,5-ჯერ აღემატება საკონტროლო მაჩვენებელს. ჩამოთვლილთაგან, რომელია ამ მაჩვენებლის შესაბამისი ადექვატური ქმედება?
\\\ 2 პაკეტი ერითროციტარული მასის გადასხმა
\\ 4 პაკეტი ახლადგაყინული პლაზმის გადასხმა
\\\ 1 პაკეტი ტრომბოციტარული მასის გადსხმა
\\\ 10 პაკეტი კრიოპრეციპიტატის გადასხმა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, პრეეკლამფსიის დროს რა ცვლილებები იქნება ორსული ქალის შარდის ანალიზში?:
\\ პროტეინურია
\\\ ჰემატურია
\\\ გლუკოზურია
\\\ კეტონურია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სიმპტომის არსებობა არ არის დამახასიათებელი მძიმე პრეეკლამფსიისათვის?
\\\ თავის ტკივილი
\\\ ტკივილი ეპიგასტრალურ არეში
\\\ მხედველობის დაბინდვა
\\ კონვულსიები

\\\\ ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს ტოქსოპლაზმის ბუნებრივ საცავს თუ წყაროს?;
\\\ სასკოლო ასაკის ბავშვები
\\\ ფრინველები
\\\ თევზები
\\ კატები

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ლოკალიზაციის ენდომეტრიოზი არის ყველაზე გავრცელებული?
\\\ რეტროცერვიკალური
\\ საშვილოსნოს ტანის
\\\ საშვილოსნოს ყელის
\\\ საკვერცხის

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ეტიოლოგიის ვაგინიტის არსებობა წარმოადგენს ორივე პარტნიორის მკურნალობის ჩვენებას?
\\ ტრიქომონიაზი
\\\ კანდიდოზი
\\\ ჰერპესული
\\\ გარდნელელოზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან რომელი მეთოდი გამოიყენება საშვილოსნოს ყელის ორსულობის დიაგნოსტიკისთვის?:
\\\ კულდოცენტეზი
\\\ ენდომეტრიუმის ბიოფსია
\\ ლაპარასკოპია
\\\ ქორიონული გონადოტროპინის განსაზღვრა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ჰორმონი არ სინთეზირდება პლაცენტაში?
\\\ ქორიონული გონადოტროპინი
\\\ პლაცენტარული ლაქტოგენი
\\ პროლაქტინი
\\\ პროგესტერონი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი გართულების განვითარების რისკი მატულობს კორპორალური საკეისრო კვეთის წარმოების შემთხვევაში?
\\ ჭრილობის გახსნა ორსულობისას ან მომავალი ჭინთვების დროს
\\\ წებოვანი წარმონაქმნების ფორმირება
\\\ პოსტ-ოპერაციული ტკივილები
\\\ საშვილოსნოს სისხლძარღვების დაზიანება
\\\ ჩანასახის თავამდე შეღწევის სიძნელე ექსტრაქციის მიზნით

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ანტენატალურად რომელი სკრინინგული კვლევის ჩატარება არ არის ნაჩვენები რუტინულად ფიზიოლოგიურად მიმდინარე ორსულობის დროს?
\\ სისხლის საერთო ანალიზი
\\\ ჰემოგლობინი
\\\ პაპ-ტესტი
\\\ სისხლის ჯგუფი და RH კუთვნილება

\\\\ ნაყოფის საშვილოსნოსშიდა ზრდის შეფერხების შემთხვევაში ჩამოთვლილთაგან, კვლევის რომელი მეთოდის საშუალებით არის შესაძლებელი ყველაზე ზუსტად ნაყოფის მდგომარეობის შეფასება?
\\\ ამნიოცენტეზი
\\ დოპლერომეტრია
\\\ ეხოსკანირება
\\\ არასტრესული ტესტი

\\\\ ჩამოთვლილთაგანი, რომელი მდგომარეობის არსებობის შემთხვევაში არ არის დამახასიათებელი პროლაქტინის დონის ზრდა?
\\\ სტრესული მდგომარეობა
\\ ნევროზული ანორექსია
\\\ აკრომეგალია
\\\ ლოგინობის ხანა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი მდგომარეობის არსებობა არ არის დამახასიათებელი საშვილოსნოს მიომის კლინიკისათვის?
\\\ ანემია
\\\ პოლაკიურია
\\\ დისმენორეა
\\ ამენორეა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელია უნაყოფობის ყველაზე ხშირი მიზეზი?:
\\ ჰორმონალური
\\\ მილისმიერი
\\\ საშვილოსნოსმიერი
\\\ თანდაყოლილი
\\\ ვაგინალური

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რეპროდუქციული სისტემის რომელ რგოლზე ზემოქმედების გამო მიიღწევა კონტრაცეფციული ეფექტი კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივების გამოყენების დროს?
\\ ჰიპოფიზზე
\\\ კვერცხსავალ მილზე
\\\ საშვილოსნოზე
\\\ საკვერცხეზე

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის დიაგნოზის დაზუსტების მიზნით არის ყველაზე ინფორმატიული ონკომარკერის CA 125 განსაზღვრა სისხლის შრატი?:
\\\ საკვერცხის ენდომეტროიდული კისტა
\\ სეროზული ცისტოადენოკარცინომა
\\\ სერტოლი-ლეიდიგის სიმსივნე
\\\ ქორიოკარცინომა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის დიაგნოსტიკის მიზნით გამოიყენება სისხლის შრატში ქორიონალური ჰონადოტროპინის განსაზღვრა?
\\\ საკვერცხის ენდომეტრიოზი
\\\ სეროზული ცისტოადენოკარცინომა
\\\ სერტოლ-ლეიდიგის სიმსივნე
\\ ქორიოკარცინომა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულობის მართვის რომელი ტაქტიკის განხორციელება არის მართებული B-ჰეპატიტის არსებობის შემთხვევაში?
\\\ ორსულობის შეწყვეტა
\\\ ახალშობილის იზოლაცია
\\\ ლაქტაციის აკრძალვა
\\ ახალშობილის პასიური იმუნიზაცია დაბადებისთანავე

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი მაჩვენებელი არ წარმოადგენს აპგარის ცხრილის კომპონენტს?
\\\ კანის ფერი
\\\ კუნთების ტონუსი
\\ სხეულის ტემპერატურა
\\\ გულისცემის სიხშირე

\\\\ 26 წლის ქალი უკანასკნელი 2 თვის განმავლობაში უჩივის სახეზე თმიანობის ზრდას, ხმის დაბოხებას და კლიტორის გადიდებას. ულტრაბგერითი გამოკვლევით დიაგნოსტირებულ იქნა მარჯვენა საკვერცხის გადიდება. ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის არსებობა შესაძლებელიან იყოს ყველაზე მეტად ამ ცვლილებების განვითარების მიზეზი?
\\\ ფოლიკულომა
\\\ ბრენერის სიმსივნე
\\ ანდრობლასტომა
\\\ საკვერცხის ფიბრომა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ცვლილების არსებობა არ არის დამახასიათებელი ორსულთა ძლიერი პირღებინების დროს?
\\\ ჰიპოკალიემია
\\\ წონის დაკარგვა
\\\ კეტონემია
\\ მეტაბოლური აციდოზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ფაქტორის არსებობა თამაშობს მნიშვნელოვან როლს პირველადი ალგოდისმენორეის განვითარებაში?
\\ პროსტოგლანდინების პროდუქცია
\\\ ენდომეტრიოზი
\\\ საშვილოსნოს მიომა
\\\ ჰიპერანტეფლექსია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პრეპარატის გამოყენება არის ყველაზე გამართლებული პირველადი ალგოდისმენორეის მკურნალობის მიზნით?
\\ ინდომეტაცინი
\\\ ნო-შპა
\\\ ვალერიანი
\\\ პაპავერინი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი მედიკამენტი გამოიყენება ტრიხომონაზით გამოწვეული ვაგინიტის მკურნალობის დროს?:
\\ მეტრონიდაზოლი
\\\ მიკონაზოლი
\\\ დოქსაციკლინი
\\\ პიროგენალი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პრეპარატის გამოყენება არის უპირატესი პრეეკლამფსიის გართულებათა პრევენციის მიზნით?
\\\ დექსამეტაზონი
\\\ დიაზეპამი
\\ მაგნიუმის სულფატი
\\\ პროპანოლოლი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ადენოჰიპოფიზის რომელ უჯრედებში სინთეზირდება ფოლიკულის მასტიმულირებელი ჰორმონი?
\\\ ქრომოფობური
\\ ბაზოფილური
\\\ აციდოფილური
\\\ შერეული

\\\\ ორალური კომბინირებული კონტრაცეპტივების გამოყენების შემთხვევაში ჩამოთვლილთაგან, რომელი ფაქტორის არსებობით შესაძლებელია იყოს განპირობებული განაყოფიერება?
\\\ ხშირი სექსუალური კავშირები
\\ კონტრაცეპტივების არასწორი გამოყენება
\\\ გასტროინტესტინალური მალასორბცია
\\\ ანტისხეულების განვითარება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სახის ქრომოსომული ანომალია არის ორსულობის I ტრიმესტრში განვითარებული თვითნებითი აბორტის ყველაზე ხშირი მიზეზი?
\\\ პოლიპლოიდია
\\\ ავტოსომური მონოსომია
\\ ავტოსომური ტრისომია
\\\ ტრანსლოკაცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი გართულება წარმოადგენს ეკლამფსიურ ორსულთა სიკვდილის ყველაზე ხშირ მიზეზს?
\\\ ღვიძლის უკმარისობა
\\\ თირკმლის მწვავე უკმარისობა
\\ ქალასშიდა ჰემორაგია
\\\ პულმონური ემბოლია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მკურნალობის რომელი მეთოდი ითვლება პირველადად ენდომეტრიმის კიბოს მკურნალობის დროს?
\\\ სხივური თერაპია
\\\ რადიოთერაპია
\\ ჰისტერექტომია
\\\ ქიმიოთერაპია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი მიზეზით არის განპირობებული სიკვდილობა ცერვიკალური კარცინომის დროს ყველაზე ხშირად?
\\ ადგილობრივად გავრცელებასთან
\\\ ცენტრალურ ნერვულ სისტემაში წასულ მეტასტაზებთან
\\\ ფილტვებში მეტასტაზებთან
\\\ იატროგენულ შემთხვევებთან

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი კარიტიპი არის დამახასიათებელი შერეშევსკ-ტერნერის სინდრომის დროს?
\\\ 46XO
\\ 45XO
\\\ 46XX
\\\ 46XY

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი კარიტიპი არის დამახასიათებელი ტესტიკულური ფემინიზაციის დროს?
\\\ 46XO
\\ 46XY
\\\ 45XO
\\\ 46XX

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ფაქტორის არსებობით არის ყველაზე მეტად განპირობებული ენდომეტრიუმის ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზიის განვითარება?
\\ ხანგრძლივი ესტროგენული სტიმულაცია
\\\ ხანგრძლივი პროგესტინული სტიმულაცია
\\\ ენდომეტრიტი
\\\ ენდომეტრიოზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის არსებობა წარმოადგენს საკეისრო კვეთის წარმოების აბსოლუტურ ჩვენებას?
\\\ პირისახით წინმდებარეობა

\\\ პლაცენტის კიდითი წინმდებარეობა
\\\ ჭიპლარის პროლაფსი
\\ გადატანილი კორპორალური საკეისრო კვეთა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულობის რა ვადაზეა შესაძლებელი ფეტალური კარიოტიპის განმსაზღვრა ამნიოცენტეზის საშუალებით?
\\\ 8-10 კვირა
\\\ 10-12 კვირა
\\ 16-18 კვირა
\\\ 22-24 კვირა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგია არ წარმოადგენს გესტაციური დიაბეტის გართულებას?
\\\ ნაადრევი თვითნებითი აბორტი
\\\ ნაყოფის საშვილოსნოსშიდა ზრდის შეფერხება
\\\ მრავალწყლიანობა
\\ პლაცენტის წინმდებარეობა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი მდგომარეობა წარმოადგენს კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივების გამოყენების უკუჩვენებას?
\\\ ენდომეტრიოზი
\\\ მასტოპათია
\\\ საკვერცხის სეროზული ცისტა
\\ სარძევე ჯირკვლის კარცინომის ოპერაცია, გაკეთებული 3 წელზე მეტი ხნის წინ

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სიმპტომის არის ყველაზე დამახასიათებელი კლიმაქტერული პერიოდისათვის?
\\ ღამის ოფლიანობა
\\\ უძილობა
\\\ სიგამხდრე
\\\ წონაში მატება

\\\\ ექტოპიური ორსულობის დროს ჩამოთვლილთაგან, ემბრიონის რომელ ორგანოში ლოკალიზაცია არის ყველაზე ხშირი?
\\\ საკვერცხეში
\\\ მუცლის ღრუში
\\ კვერცხსავალ მილში
\\\ საშვილოსნოს ყელში

\\\\ რა სახის ცვლილებას განიცდის ლეიმიომა ყველაზე ხშირად ორსულობის პერიოდში?
\\\ ზომაში იკლებს
\\ ზომაში მატულობს
\\\ განიცდის დანეკროზებას

\\\ ავთვისებიანად გარდაიქმნება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი წარმოადგენს პრეეკლამფსიის ყველაზე ხშირ კლინიკურ სიმპტომს?
\\ ჰიპერტენზია
\\\ შეშუპება
\\\ თავის ტკივილი
\\\ ტრომბოციტოპენია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ლაბორატორიული ტესტი გამოიყენება გესტაციური დიაბეტის სკრინინგის მიზნით?
\\ მცირე ტესტი 50 გ. გლუკოზით
\\\ სამსაათიანი ტესტი 100გ.გლუკოზით
\\\ შარდში გლუკოზის დონის განსაზღვრა
\\\ ორსაათიანი ტესტი 75გ. გლუკოზით

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა სიმპტომი ახასიათებს ყველაზე ხშირად ენდომეტრიულ კარცინომას?
\\\ საშვილოსნოს მოცულობის ზრდა
\\\ აბდომინალური კოლიკა
\\ ჰემორაგია
\\\ ლეიკორეა

\\\\ ფიზიოლოგიური ორსულობის პერიოდში ჩამოთვლილთაგან, რომელი ცვლილება არ მიმდინარეობს საშარდე სისტემაში?
\\\ შარდსადენის გაფართოება
\\\ გორგლოვანი ფილტრაციის ზრდა
\\\ ნატრიუმის რეაბსორბციის მატება
\\ კრეატინის კლირენსის შემცირება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, წითურით დაინფიცირების ორსულობის რა ვადაზე მატულობს ჩანასახის დაინფიცირების ალბათობა?
\\ I ტრიმესტრში
\\\ II ტრიმესტრში
\\\ III ტრიმესტრში
\\\ მთელი ორსულობის განმავლობაში

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის არსებობით არის განპირობებული მუცლის ტკივილი ყველაზე ხშირად მშობიარობის შემდგომ პერიოდში?
\\ ენდომიომეტრიტი
\\\ აპენდიციტი
\\\ ნაწლავთა გაუვალობა
\\\ ქოლეცისტიტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ქალის ცხოვრების რა პერიოდში ვითარდება მწვავე მასტიტი ყველაზე ხშირად?
\\\ პრეპუბერტატულ პერიოდში
\\ ლოგინობის ხანაში
\\\ ორსულობის დროს
\\\ მენოპაუზის დროს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელ ვენას უერთდება მარჯვენა საკვერცხის ვენა?
\\\ მარჯვენა თირკმლის
\\\ ქვედა ჯორჯალის
\\ ქვედა ღრუ
\\\ მარჯვენა ჰიპოგასტრულური

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ქმედება უნდა განხორციელდეს პირველადად საშვილოსნოს ღრუს ინსტრუმენტული გასინჯვის დროს საშვილოსნოს პერფორაციის შემთხვევაში?
\\\ ჰისტერექტომია
\\\ დიაგნოსტიკური ლაპარატომია
\\\ ულტრაბგერითი გამოკვლევა
\\ ანტიბიოტიკოთერაპია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ნივთიერების დეფიციტი გვხვდება ყველაზე ხშირად ადრენოგენიტალური სინდრომის დროს?
\\\ 11-ჰიდროქსილაქსის
\\\ 17-ჰიდროქსილაქსის
\\ 21-ჰიდროქსილაქსის
\\\ 301 ჰიდროქსილაქსის

\\\\ ჩამოთვლილთაგან, პლაცენტის წინამდებარეობის რომელ ტიპს მიეკუთვნება პლაცენტაციის ისეთი ტიპი, როცა პლაცენტის კიდე 3სმ-ზე ნაკლები მანძილით არის დაშორებული საშვილოსნოს ყელის შიგნითა პირიდან?
\\\ სრული
\\\ ცენტრალური
\\ დაბალი
\\\ გვერდითი

\\\\ მშობიარობის შემდგომ მე-12 დღეს დედა ახალშობილის ძუძუთი კვებისას გრძნობს სარძევე ჯირკვლის ტკივილს. ჯირკვალი შესიებულია, კანი გახურებული და შეწითლებულია. დედას აღენიშნება ტემპერატურის მატება შემცივნებით 39°C-მდე. იღლიის ლიმფურ კვანძები პალპაციით გადიდებული და მტკივნეულია. ჩამოთვლილთაგან, რომელია ყველაზე სავარაუდო დიაგნოზი?
\\\ ჰიპერლაქტაცია
\\\ ლაქტოსტაზი
\\\ სარძევე ჯირკვილის ადენოფიბრომა

\\ მწვავე მასტიტი

\\\\ 23 წლის ქალი დაახლოებით 2 წლის განმავლობაში განიცდის ამენორეას. სანამ ამ მდგომარეობამდე მივიდოდა იგი გასახდომი საშუალებებით მკურნალობდა, რის შედეგადაც დაიკლო 20 კგ. ჩამოთვლილთაგან, რა მიზეზით არის შესაძლებელი ყველაზე მეტად ამენორეის განვითარება?
\\\ ჰიპოფიზის ადენომა
\\\ ჰიპერთირეოზი
\\\ ალიმენტური დისტროფია
\\ ჰიპოთალამური პრობლემები

ჩამოთვლილთაგან, რომელი სიმპტომის არსებობა წარმოადგენს თანდაყოლილი წითურის გამოვლინებას ყველაზე ხშირად?
\\ სიბრმავე
\\\ ფოკომელია
\\\ კაუდალური რეგრესია
\\\ სასის ნაპრალი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, კვლევის რომელი მეთოდის საშუალებით არის შესაძლებელი პლაცენტის წინამდებარეობის დიაგნოზის დადასტურება ყველაზე ზუსტად?
\\ ექოსკანირება
\\\ ამნიოსკოპია
\\\ ვაგინალური გასინჯვა
\\\ რადიოგრაფია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა სახის გართულება გვხვდება ყველზე ხშირად ვაგინალური ჰისტერექტომიის ოპერაციის წარმოების შემდეგ?
\\\ პერიტონიტი
\\ საშარდე გზების ინფექცია
\\\ ჰემორაგია
\\\ ნაწლავების პერფორაცია

\\\\ აბდომინალური ჰისტერექტომიის ოპერაციის წარმოების დროს შეცდომით იქნა გადაკვანძული შარდსაწვეთი. ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის განვითარების მიზეზი შესაძლებელია გახდეს აღნიშნული ქმედება?
\\ ჰიდრონეფროზი
\\\ პიონეფროზს
\\\ ინკონტინენცია
\\\ შარდის ბუშტის დილატაცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა მიზეზითაა განპირობებული ყველაზე ხშირად ახალგაზრდა ქალებში ამენორეის განვითარება?
\\\ საკვერცხეების ჰიპოფუნქცია
\\\ ჰიპერთირეოზი

\\\ ჰიპოთირეოზი
\\ ორსულობა

\\\\ მშობიარე ქალებში ჩამოთვლილთაგან, რა მიზეზითაა გამოწვეული ყველაზე ხშირად საშვილოსნოსშიდა ინფექციის განვითარება?
\\\ ვაგინიტი
\\\ ცერვიციტით
\\ ვაგინალური გამოკვლევები
\\\ ვაგინოზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა სახის კვლევა უნდა ჩაუტარდეს Rh-უარყოფითი სისხლის ჯგუფის კუთვნილების მქონე ორსულ ქალს დიაგნოზის დაზუსტების მიზნით?
\\\ ანტი-A ანტისხეულების განსაზღვრა
\\ არაპირდაპირი კუმბსის ტესტი
\\\ პირდაპირი კუმბსის ტესტი
\\\ ანტი-B ანტისხეულების განსაზღვრა

ჩამოთვლილთაგან, საშოს რომელი ნაწილიდან ხდება ვაგინალური ნაცხის მიკრობული ანალიზის გასაკეთებლად ნაცხის აღება?
\\\ ნავისებური ფოსოდან
\\\ საშოს ქვედა მესაედიდან
\\ საშოს უკანა თაღიდან
\\\ საშოს წინა კედლიდან

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პრეპარატი გამოიყენება იზოიმუნიზაციისათვის Rh (D) პროფილაქტიკის მიზნით?
\\\ ანტი Rh ვაქცინა
\\ ანტი D იმუნოგლობულინი
\\\ ანტი-C იმუნოგლობულინი
\\\ ანტი E იმუნოგლობულინი

\\\\ მშობიარობიდან რამდენი საათის განმავლობაში არის დასაშვებად ეფექტური იზოიმუნიზაციის Rh (D) პროფილაქტიკა?
\\\ 6
\\\ 24
\\\ 12
\\ 72

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რისი დადგენა არის შესაძლებელი ლეოპოლდის მე-4 მანევრის განხორციელებისას?
\\\ ნაყოფის მდებარეობა
\\\ ნაყოფის პოზოცია
\\\ ნაყოფის სახეს
\\\ ნაყოფის წინამდებარეობას

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა შემთხვევაში არის შილერის სინჯი იოდნეგატიური?
\\ გლიკოგენის მცირე რაოდენობა
\\\ გლიკოგენის დიდი რაოდენობა
\\\ ჭარბი ვასკულარიზაცია
\\\ ანთებითი პროცესი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელ სასქესო ორგანოს აზიანებს ბრენერის (Brenner) სიმსივნე?
\\ ** საკვერცხეს
\\\ საშვილოსნოს
\\\ საშოს
\\\ სარძევე ჯირკვალს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, როელი განმარტება შეესაბამება "კრაუროზს"?
\\\ ბოქვენის თმების გაცვენა
\\\ ლეიკორეა
\\ ვულვის დისტროფიული პათოლოგია
\\\ დისხეზია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სინდრომის სახელით არის ცნობილი ვაგინალური აპლაზია, რომელსაც ახასიათებს საშვილოსნოს არ არსებობა ან საშვილოსნოს რუდიმენტული დაბოლოება, საკვერცხის და მილების არსებობა?
\\\ მორისის სინდრომი
\\ როკიტანსკი-კუშერის სინდრომი
\\\ კლინეფელტერის სინდრომი
\\\ შტეინ-ლევენტალის სინდრომი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა მიზეზის არსებობით არის განპირობებული ყველაზე ხშირად ორსულთა ანემიის (Hb< 10g/l) ganviTareba?
\\\ ფოლიუმის მჟავის დეფიციტი
\\\ ჰემოლიზი
\\\ ჰემოდილუცია
\\ რკინის დეფიციტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, დაბადებიდან რამდენ საათის განმავლობაში ვლინდება ფეტალური ერითრობლასტოზით გამოწვეული ახალშობილთა სიყვითლე?
\\\ 2
\\ 24
\\\ 12
\\\ 48

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი განმარტება შეესაბამება ""ნაბოთის (Naboth) ოვულები"?

\\\ საშოს ცისტა
\\ საშვილოსნოს ყელის ცისტა
\\\ ბართოლინის ჯირკვლის ცისტა
\\\ ვულვის ცისტა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა ცვლილებებს განიცდის საშვილოსნოს მიომა ორსულობის დროს?
\\\ განიცდის უკუგანვითარებას
\\ მატულობს ზომაში
\\\ განიცდის მალიგნიზაციას
\\\ განიცდის ნეკრობიოზს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი აირი გამოიყენება ლაპრასკოპიული ოპერაციის დროს პნევმოპერიტონეუმის შესაქმნელად?
\\\ ჟანგბადი
\\\ აზოტი
\\ ნახშირორჟანგი
\\\ არგონი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ნაყოფის წონის რომელი მაჩვენებლის შემთხვევაში გამოიყენება ტერმინი " გიგანტიზმი"?
\\\ 3500გრ ან მეტი
\\\ 4000გრ ან მეტი
\\\ 4500გრ ან მეტი
\\ 5000გრ ან მეტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, კვლევის როელი ეთოდის სასუალებით არის შესაძლებელი ნაყოფის საშვილოსნოსშიდა ზრდის შეფერხების დიაგნოსტირება?
\\\ კარდიოტოკოგრაფია
\\\ ამნიოცენტესი
\\ ექოსკანირება
\\\ სამმაგი ჰორმონალური ტესტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ქალის თმიანი საფარის როგორ ცვლილებას ეწოდება ჰიპერტრიქოზი?
\\\ თმების არსებობა არათმიან ადგილებში
\\ თმის რაოდენობის მატება თმიან ადგილებში
\\\ თმების განსაკუთრებული სიმაგრე
\\\ თმის განსაკუთრებით ინტენსიური ფერი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ფაქტორი წარმოადგენს რისკ-ფაქტორს ვადაგადაცილებული ორსულობისათვის?
\\\ არასრულფასოვანი კვება

\\\ დაბალი სხეულის მასის ინდექსი
\\ გაცხიმოვნება
\\\ მრავალნაყოფიანი ორსულობა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ქმედება წარმოადგენს ყველაზე ეფექტურ საშუალებას მშობიარობის ინდუქციის პრევენციის მიზნით?
\\\ მოცდითი ტაქტიკის განხორციელება
\\ ორსულობის ვადის დადგენა ორსულობის 10-13კვირაზე
\\\ ორსულობის ვადის დადასტურება ორსულობის 38-40 კვირის ვადაზე
\\\ ორსულობის ვადის დადგენა ნეგელეს წესით

\\\\ ორსული ქალი, 24წლის, G3P1, გესტაციური ასაკი 42კვირა. ორსულობის მართვის ტაქტიკის განსაზღვრისა და საშვილოსნოს ყელის სიმწიფის შეფასების მიზნით ორსული გასინჯულ იქნა ვაგინალურად: საშვილოსნოს ყელის სიგრძე 3სმ-ია, საშვილოსნოს ყელი დახურულია, კონსისტენცია-გარბილებულია, საშვილოსნოს ყელი ცენტრირებულია, ნაყოფის თავი მდებარეობს -1დონეზე. ჩამოთვლილთაგან, ექიმის მიერ განხორციელებული რომელი ტაქტიკა იქნება ყველაზე ადექვატური?(6)
\\\ საშვილოსნოს ყელის მომწიფება
\\ მშობიარობის ინდუქცია
\\\ მოცდითი ტაქტიკა
\\\ ტრანსვაგინალური ეხოსკანირება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ნიშნის არსებობა წარმოადგენს ვადაგადაცილებული ორსულობის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს?
\\\ საშვილოსნოს ფუძის სიმაღლის შემცირება
\\\ მუცლის გარშემოწერილობის გადიდება
\\ ნაყოფის მოძრაობითი აქტივობის შეცვლა
\\\ ორგანიზმის ესტროგენებით გაჯერების მატება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ექოსკოპიურად გამოვლენილი რომელი ნიშნის არსებობა წარმოადგენს ვადაგადაცილებული ორსულობის ყველაზე დამახასიათებელ ნიშანს?
\\\ სანაყოფო წყლები ოპალესცირებს
\\\ პლაცენტის სისქე >3სმ
\\ წვრილი (<1სმ) ჭიპლარი
\\\ სანაყოფო წყლების რაოდენობა 800მლ.

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მომყოლში გამოვლენილი რომელი ცვლილების არსებობა არის დამახასიათებელი ყველაზე მეტად ვადაგადაცილებული ორსულობისათვის?
\\\ პლაცენტას სისქე 4სმ
\\ პლაცენტას წონა >900,0
\\\ პლაცენტის ზედაპირზე კალციფიკატები
\\\ სანაყოფო გარსები შეღებილია მეკონიუმით

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ნიშნის არსებობა ადასტურებს ყველაზე მეტად ახალშობილის ვადაგადაცილებას?
\\\ ჭარბი საცხი
\\\ ჭიპის რგოლის მდებარეობა ბოქვენთან ახლოს
\\\ ლანუგო მთელ სხეულზე
\\ კანის ტურგორის დაქვეითება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ვადაგადაცილებული ორსულობის მართვის რომელი რეკომენდაცია არის ყველაზე სარწმუნო?
\\\ ორსულობის 41კვირის ვადაზე საშვილოსნოს ყელის მომწიფება ესტრიოლით
\\\ ორსულობის 40 კვირის ვადიდან გაძლიერებული ანტენატალური მონიტორინგი
\\ ორსულობის 41 კვირის ვადიდან მშობიარობის ინდუქცია
\\\ ორსულობის 41კვირის ვადიდან მოცდითი ტაქტიკა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის არსებობა არ წარმოადგენს მშობიარობის ინდუქციის ჩვენებას?
\\\ მძიმე პრეეკლამფსია
\\\ ნაყოფის საშვილოსნოსშიდა ზრდის შეფერხება
\\\ ორსულობა >41კვ.
\\ ორსული ქალის სურვილი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი გართულების განვითარება არ არის მოსალოდნელი ვადაგადაცილებული მშობიარობის დროს?
\\\ მშობიარობის გახანგრძლივება
\\\ კლინიკურად ვიწრო მენჯის განვითარება
\\\ მხრების დისტოცია
\\ ჭიპლარის მარყუჟების გამოვარდნა

\\\\ ვადაგადაცილებული მშობიარობის დროს ჩამოთვლილთაგან, რომელი პათოლოგიის არსებობა წარმოადგენს ნაყოფის მუდმივი ელექტრონული მონიტორინგის ნაყოფისმხრივ ჩვენებას?
\\ ვადაგადაცილება
\\\ ინდუცირებული მშობიარობა
\\\ ოქსიტოცინის ინფუზია
\\\ სანაყოფო გარსების ნაადრევი დარღვევა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულის როგორ პირობებში ჩატარებული კარდიოტოკოგრაფია არის არასტრესული?
\\\ ვენაში ოქსიტოცინის შეყვანით
\\\ სარძევე კერტების მასაჟი
\\\ ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ
\\ ორსულის მოხერხებულ მდგომარეობაში

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მუცლადმყოფი ნაყოფის რომელი მაჩვენებელი არ მიეკუთვნება ბიოფიზიკური პროფილის მაჩვენებლებს?
\\\ სუნთქვითი მოძრაობების სიხშირე
\\\ კუნთთა ტონუსი
\\\ მოძრაობათა აქტივობა
\\ რეფლექსთა ცხოველმყოფელობა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რამდენი ბიოფიზიკური მაჩვენებლის განსაზღვრას ითვალისწინებს მოდიფიცირებული ბიოფიზიკური პროფილი?
\\\ 5
\\\ 4
\\\ 3
\\ 2

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ტიპის ანტიგენების მიმართ გამომუშავდება ყველაზე ხშირად ანტისხეულები რეზუს-კონფლიქტის დროს?
\\ D
\\\ C
\\\ E
\\\ c

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ტიპის ანტისხეულები იწვევს ყველაზე ხშირად ახალშობილის ჰემოლიზურ დაავადებას?
\\\ ანტი-Eანტისხეულები
\\ ანტი-Dანტისხეულები
\\\ ანტი-Cანტისხეულები
\\\ ანტი-Aანტისხეულები

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ნაყოფის ჰემოგლობინის რა დონემდე დაქვეითების შემთხვევაში არის შესაძლებელი კლინიკურად გამოვლინდეს ნაყოფის ანემია ერითრობლასტოზის დროს?
\\\ 20გ/%
\\\ 10გ/%
\\\ 15გ/%
\\ 5გ/%

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ექოსკოპიურად გამოვლენილი რომელი კლინიკური ნიშანი არ მიუთითებს ნაყოფის ერითრობლასტოზის არსებობას?
\\\ მრავალწყლიანობა
\\ მცირეწყლიანობა
\\\ გულის პარკუჭების გაფართოება
\\\ ჰიდროპერიკარდიტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, როგორი ტიპის სისხლის კომპონენტების საშვილოსნოსშიდა გადასხმა ნაყოფის ერითრობლასტოზის დროს არ არის მოწოდებული?
\\\ გულის ღრუში
\\\ ჭიპის ვენაში
\\\ პერიტონეუმშიდა
\\ ჭიპის არტერიაში

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულობის რა ვადაზე არ არის სავალდებულო ანტისხეულების განსაზღვრა პრიმიგრავიდას შემთხვევაში?
\\\ 28კვ.
\\ 10კვ.
\\\ 36კვ.
\\\ 40კვ.

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა შემთხვევაში არ აქვს აზრი ანტი-იმუნოგლობულინის პროფილაქტიკურ დანიშვნას?
\\ სენსიბილიზაციის შემთხვევაში
\\\ ორსულობის III ტრიმესტრში
\\\ მშობიარობიდან 72საათში
\\\ ორსულობის I ტრიმესტრში

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ტიპის კვლევა გამოიყენება ალოიმუნიზაციის ხარისხის დასადგენად რეზუს-უარყოფითი კუთვნილების სისხლის მქონე ორსულებში?
\\\ ავტომატიზირებული
\\\ კლეიჰაუერ-ბეტკეს
\\ კუმბსის
\\\ ენზიმატური

\\\\ ჩამოთვლილთაგან, კვლევის რომელი მეთოდის საშუალებით არის შესაძლებელი ყველაზე ზუსტად ნაყოფის ანემიზაციის ხარისხის დადგენა ნაყოფის ერითრობლასტოზის დროს?
\\\ დოპლერომეტრია
\\\ ამნიოცენტეზი
\\\ თავისუფალი ფეტალური დნმ-ის განსაზღვრა
\\ კორდოცენტეზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, კვლევის რომელი მეთოდი მიიჩნევა ყველაზე ეფექტურად და უსაფრთხოდ ნაყოფის რეზუსის დასადგენად?
\\\ დოპლერომეტრია
\\\ ამნიოცენტეზი
\\ თავისუფალი ფეტალური დნმ-ის განსაზღვრა
\\\ კორდოცენტეზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა მიზეზით არ არის გამოწვეული ნაყოფის საშვილოსნოსშიდა ზრდის შეფერხება?
\\\ ქრომოსომული პათოლოგია
\\ შაქრიანი დიაბეტი
\\\ საშვილოსნოსშიდა ინფექცია
\\\ გენეტიკური მიდრეკილება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ნსზშ განვითარების დედისმხრივ მიზეზთა შორის რომელი იწვევს ყველაზე ხშირად ნსზშ?
\\\ თამბაქოს წევა
\\ არასწორი კვება
\\\ მაღალმთიან რაიონში ცხოვრება
\\\ ნარკოტიკების მოხმარება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი მიზეზის არსებობით არის განპირობებული პლაცენტის პერფუზიის დაქვეითება?
\\\ შაქრიანი დიაბეტი
\\\ ნამგლისებურუჯრედოვანი ანემია
\\\ ანტიფოსფოლიპიდური სინდრომი
\\ ტროფობლასტის ინვაზიის დარღვევა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ულტრაბგერითი გამოკვლევით რომელი პარამეტრი არ გამოიყენება ფეტომეტრიის მიზნით ორსულობის 20 კვირის ვადის შემდეგ?
\\\ თავის გარშემოწერილობა
\\\ ბიპარიეტალური ზომა
\\\ მუცლის გარშემოწერილობა
\\ თხემ-კუდუსუნის ზომა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, კვლევის რომელი მეთოდის საშუალებით არის შესაძლებელია ყველაზე ზუსტად მუცლადმყოფი ნაყოფის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება?
\\\ ეხოსკანირება
\\\ გრავიდოგრამა
\\\ კტგ
\\ არასტრესული ტესტი

\\\\ ნსზშ არსებობისას ჩამოთვლილთაგან, რომელი პარამეტრის არსებობა წარმოადგენს ორსულობის სასწრაფო დამთავრების ჩვენებას?
\\\ ჭიპლარის არტერიაში დიასტოლური სისხლისდინების შენელება
\\ ჭიპლარის არტერიაში დიასტოლური სისხლისდინების უკუდინება
\\\ ჭიპლარის არტერიაში სისხლისდინების სისტოლო-დიასტოლური ინდექსის დაქვეითება
\\\ ჭიპლარის ვენაში დიასტოლური სისხლისდინების შეჩერება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მკურნალობის რომელი მეთოდი არის დაშვებული (მისაღები) ნსზშ სამკურნალოდ?
\\\ წოლითი რეჟიმი
\\\ გლუკოზა
\\ ასპირინი
\\\ ჟანგბადი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, უზმოზე პლაზმაში გლუკოზის კონცენტრაციის რომელი დონე შეესაბამება ჯანმო-ს მიერ მოწოდებულ შაქრიანი დიაბეტის დეფინიციას?
\\ >7,8მმოლ/ლ
\\\ > 5,8 მმოლ/ლ
\\\ > 11,1მმოლ/ლ
\\\ >6,2მმოლ/ლ

\\\\ ჩამოთვლილთაგან, გლუკოზით დატვირთვიდან 1-2საათის შემდეგ პლაზმაში გლუკოზის კონცენტრაციის რომელი დონე შეესაბამება ჯანმო-ს მიერ მოწოდებულ შაქრიანი დიაბეტის დეფინიციას?
\\\ >7,8მმოლ/ლ
\\\ > 5,5მმოლ/ლ
\\ > 11,1მმოლ/ლ
\\\ >3,3მმოლ/ლ

\\\\ ჩამოთვლილთაგან, შაქრიანი დიაბეტის მქონე ორსულებში რომელი გართულების განვითარება არის ყველაზე მეტად მოსალოდნელი ორსულობის I ტრიმესტრში?
\\\ მაკროსომია
\\\ პრეეკლამფსია
\\ კაუდალური რეგრესია
\\\ მრავალწყლიანობა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი გართულებით არის ყველაზე მეტად განპირობებული დედათა სიკვდილობა შაქრიანი დიაბეტის დროს?
\\\ პრეეკლამფსია
\\\ რეტინოპათია
\\ გულის იშემიური დაავადება
\\\ თრომბოემბოლია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, პლაზმაში გლუკოზის კონცენტრაციის განსაზღვრის რომელი სკრინინგული ტესტის საშუალებით არის შესაძლებელი ყველაზე ზუსტად გლუკოზისადმი ტოლერანტობის დადგენა?
\\\ უზმოზე
\\\ საკვების მიღებიდან 2 საათში
\\ პერორალურად 50გ.გლუკოზის მიღებიდან 1 საათში
\\\ პერორალურად 100გ.გლუკოზის მიღებიდან1-2-3საათში

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულობის დროს სინთეზირებულ რომელ ნივთიერებებს არ ახასიათებთ კონტრინსულინარული მოქმედება?
\\\ პლაცენტარული ლაქტოგენი
\\\ კორტიზოლი
\\\ პროგესტერონი
\\ ესტრიოლი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, უშუალოდ რა მიზეზითაა განპირობებული ნაყოფის განვითარების მანკის განვითარება ორსულობის 5-9 კვირის ვადაზე?
\\\ ინფექცია
\\\ ქრომოსომული პათოლოგია
\\ ყვითრის პარკის ქსოვილების ჰიპოქსიური დაზიანება
\\\ ჰიპერგლიკემია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ყველაზე მეტად რაზეა დამოკიდებული გართულების განვითარების რისკი შაქრიანი დიაბეტის დროს?
\\\ დაავადების ხანგრძლივობა
\\\ დაავადების სიმძიმე
\\ დაავადების კომპენსაციის ხარისხი
\\\ ორსულობის ვადა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულობის რა ვადაზე არის რეკომენდირებული შაქრიან დიაბეტზე უნივერსალური სკრინინგის ჩატარება?
\\\ პირველივე ანტენატალური ვიზიტის დროს
\\\ ორსულობის 10-13 კვირის ვადაზე
\\\ ორსულობის დიაგნოზის დადგენისთანავე
\\ ორსულობის 24-28კვირის ვადაზე

\\\\ ჩამოთვლილთაგან, დღის განმავლობაში როდის უნდა განხორციელდეს ორსული ქალის სისხლში გლუკოზის კონცენტრაციის მონიტორინგი შაქრიანი დიაბეტის დროს?
\\\ საუზმის შემდეგ
\\\ სადილის შემდეგ
\\ ყოველი კვების შემდეგ
\\\ ვახშმის შემდეგ

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულთა შაქრიანი დიაბეტის დროს რომელი მეთოდი არ წარმოადგენს ეფექტური მკურნალობის რეჟიმის შემადგენელ კომპონენტს?
\\\ დიეტოთერაპია
\\\ ვარჯიში
\\\ მედიკამენტური მკურნალობა
\\ პლაზმაფერეზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა ცვლილება არ ხდება ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციონირებაში ნორმალური ორსულობის დროს?

\\\ ორმაგდება თიროქსინშემბოჭველი გლობულინის სინთეზი
\\ მატულობს თავისუფალი თიროქსინი
\\\ მატულობს ტრიიოდთირონინის სინთეზი
\\\ მატულობს იოდის თირკმლისმიერი კლირენსი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი კვლევის საფუძველზე არის ყველაზე მეტად შესაძლებელი თირეოტოქსიკოზის დიაგნოზის დაზუსტება?
\\\ კლინიკური
\\ ჰორმონალური
\\\ ელექტროკარდიოგრაფიული
\\\ ეხოსკოპიური

\\\\ ორსულობის დროს ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დადგენის მიზნით ჩამოთვლილთაგან, სკრინინგის შესახებ რომელი რეკომენდაციის ხარისხი შეესაბამება 2C?
\\ უნივერსალური სკრინინგი
\\\ ფარისებრი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევის სიმპტომატიკის დროს
\\\ ოჯახური ანამნეზის არსებობისა
\\\ შაქრიანი დიაბეტით დაავადებისას

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ჰორმონალური ცვლილება არ არის დამახასიათებელი ჰიპოთირეოზის დროს ორსული ქალის სისხლში?
\\\ *მომატებულია* თირეოტროპული ჰორმონის სეკრეცია
\\\ შემცირებულია თირეოიდული ჰორმონების სეკრეცია
\\\ შემცირებულია ცილასთან შეჭიდული იოდის რაოდენობა
\\ შემცირებულია TSH-ის სეკრეცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, უშუალოდ რომელი ფაქტორის არსებობით არის განპირობებული ორსულობის გამოხატული გართულებების იშვიათად განვითარება ჰიპოთირეოზის დროს?
\\ ანოვულაცია
\\\ ორსულობის დრომდე მიუტანლობა
\\\ იოდის დეფიციტი
\\\ ფარისებრი ჯირკვლის ჰიპოფუნქცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი კლინიკური ნიშანი არის დამახასიათებელი ჰიპოთირეოზის კლინიკისათვის?
\\\ ეგზოფთალმი
\\\ ტრემორი
\\ თმის ცვენა
\\\ წონის კლება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სიმპტომის არსებობის საფუძველზე არის შესაძლებელია გულის უკმარისობის დიფერენცირება ნორმალური ორსულობის დროს მიმდინარე კარდიოვასკულარული ცვლილებების სიმპტომატიკისაგან?

\\\ ქოშინი ფიზიკური დატვირთვისას
\\\ ტაქიკარდია
\\ ქოშინი მოსვენებისას
\\\ სისტოლური შუილი მ‍ვერვალზე

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი კარდიოვასკულარული ცვლილების განვითარება არ არის დამახასიათებელი ნორალური ორსულობის დროს?
\\\ ქვეითდება სისხლძარღვთა პერიფერიული წ‍ინააღმდეგობა
\\\ ქვეითდება დიასტოლური არტერიული წ‍ნევა
\\\ ქვეითდება სისხლის სიბლანტე
\\ მატულობს სისტოლური არტერიული წ‍ნევა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ორსულობის რა ვადაზე არის ყველაზე მეტად გამოხატული კარდიოვასკულატორული ცვლილებები?
\\\ 13-16კვ.
\\ 20-24კვ
\\\ 28-32კვ
\\\ 36-38კვ

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა ქმედებას არ ახორციელებს კარდიოლოგი ქალის პრეგრავიდარული კონსულტირების დროს?
\\\ აფასებს დედის რისკებს
\\\ აძლევს ქალს საშუალებას გააკეთოს ორსულობის გადაწ‍ყვეტილების მიღების ინფორმირებული არჩევანი
\\\ აფასებს ნაყოფის რისკებს
\\ უზრუნველყოფს ანტენატალურ მეთვალყურეობას

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სიმპტომის არსებობა არ არის დამახასიათებელი მარფანის სინდრომისათვის?
\\\ მიტრალური სარქვლის პროლაფსი
\\\ აორტის სარქველების უკმარისობა
\\\ აორტის განშრევება
\\ აორტის კოარქტაცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, გულის რომელი პათოლოგია არ წ‍არმოადგენს უკუჩვენებას ორსულობის შენარჩუნებისათვის?
\\\ მარფანის სინდრომი
\\\ ფილტვისმიერი ჰიპერტენზია
\\\ ეიზენმენგერის სინდრომი
\\ მიტრალური სარქვლის უკმარისობა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ინფექციური დაავადების განვითარების რისკი მატულობს ორსულობის დროს გლუვკუნთოვანი მუსკულატურის ტონუსის დაქვეითების გამო?
\\\ კოლიტი

\\ პიელონეფრიტი
\\\ ტუბერკულოზი
\\\ ქლამიდიოზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ინფექციური დაავადების განვითარების რისკი მატულობს ორსულობის დროს T ჰელპერების შემცირების გამო?
\\\ პიელონეფრიტი
\\\ ცისტიტი
\\ ციტომეგალოვირუსი
\\\ ქოლეცისტიტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ინფექცია მიეკუთვნება TORCH ინფექციების "Others" ქვეჯგუფს?
\\\ სიფილისი
\\ ლისტერიოზი
\\\ პაპილომავირუსი
\\\ ჰეპატიტი B

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი ნიშნის არსებობა არ არის დამახასითებელი მეორადი სიფილისისათვის?
\\\ ფართო კონდილომა
\\\ წვეტიანი კონდილომა
\\\ ალოპეცია
\\ მაგარი შანკრი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, სიფილისის რომელი სტადიის დროს იზრდება ყველაზე მეტად ნაყოფის საშვილოსნოსშიდა დაინფიცირების რისკს?
\\ მეორადი
\\\ რეციდიული
\\\ მესამეული
\\\ გვიანი

\\\\ ორსულობის დროს ქალის სასქესო ორგანოების არეში მცირე ზომის წყლულის აღმოჩენისას, ჩამოთვლილთაგან, რომელ ინფექციებს შორის უნდა გატარდეს დიფერენციალური დიაგნოზი?
\\ სიფილისი და ჰერპესი
\\\ სიფილისი და პაპილომავირუსი
\\\ ჰერპესი და ქლამიდიოზი
\\\ ჰერპესი და პაპილომავირუსი

\\\\ ორსულს პირველი ანტენატალური ვიზიტისას ჩაუტარდა სკრინინგი ასიმპტომური ბაქტერიურიის გამოვლენის მიზნით. შარდის ნათესში აღმოჩნდა კოლონიზაციის ხარისხი 104 ჩამოთვლილთაგან, ექიმის მიერ არჩეული რომელი ტაქტიკაა ყველაზე სწორი?
\\\ ანტიბიოტიკების მიმართ გამომწვევის მგრძნობელობის განსაზღვრა

\\\ ანტიბიტიკოთერაპიის დაწყება
\\ რუტინული მონიტორინგის გაგრძელება
\\\ მშობიარობის წინ განმეორებითი სკრინინგის ჩატარება

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სამეანო პათოლოგიის პრევენცია არის შესაძლებელი ასიმპტომური ბაქტერიურიის მკურნალობის საშუალებით?
\\\ ნორმალურად მიმაგრებული პლაცენტას ნაადრევი აცლა
\\ ნაადრევი მშობიარობა
\\\ პრეეკლამფსია
\\\ ქორიოამნიონიტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა გზით არის შესაძლებელი გონორეული ინფექციის გავრცელება დედიდან ნაყოფზე?
\\\ ტრანსპლაცენტარულად
\\\ პარაპლაცენტარულად
\\ საშოს სეკრეტით
\\\ სანაყოფო წყლებით

\\\\ ორსულობის რომელ ტრიმესტრში ტოქსოპლაზმოზით ქალის დასნებოვნებისას არის ყველაზე მაღალი ნაყოფის საშვილოსნოსშიდა დაინფიცირების ალბათობა?
\\\ I ტრიმესტრში
\\\ II ტრიმესტრში
\\ III ტრიმესტრში
\\\ I-II ტრიმესტრში

\\\\ ორსულობის რომელ ტრიმესტრში ტოქსოპლაზმოზით ქალის დასნებოვნებისას მიმდინარეობს ყველაზე მძიმედ ნაყოფის საშვილოსნოსშიდა დაინფიცირების ალბათობა?
\\ I ტრიმესტრში
\\\ II ტრიმესტრში
\\\ III ტრიმესტრში
\\\ I-II ტრიმესტრში

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სიმპტომი არ წარმოადგენს თანდაყოლილი ტოქსოპლაზმოზის კლასიკური ტეტრადის სიმპტომს?
\\\ ჰიდროცეფალია
\\\ მიკროცეფალია
\\ ანენცეფალია
\\\ თავის ტვინის კალციფიკატები

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი სამეანო გართულება არ არის დამახასიათებელი ორსულთა ქლამიდიოზის დროს?
\\\ ენდომეტრიტი
\\\ ქორიოამნიონიტი

\\\ ნაადრევი მშობიაროზა
\\ ნორმალურად მიმაგრებული პლაცენტის ნაადრევი აცლა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი გართულება არ არის დამახასიათებელი ორსულთა B ჯგუფის სტრეპტოკოკით დაინფიცირებისას?
\\\ ასიმპტომური ბაქტერიურია
\\\ ნეონატალური სეფსისი
\\\ ქორიოამნიონიტი
\\ უსიმპტომო ენდომეტრიტი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი მიზეზის არსებობით აიხსნება ანტენატალური პერიოდში ანტიბიტიკოთერაპიის არაეფექტურობა B სტრეპტოკოკით დაინფიცირების შემთხვევაში?
\\\ რეზისტენტობა
\\ რეკოლონიზაცია
\\\ I რიგის პრეპარატების გამოყენება
\\\ ვიწრო სპექტრი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, დედის რომელი ინფექციის არსებობა წარმოადგენს ლაქტაციის აკრძალვის ჩვენებას?
\\\ ჰეპატიტი B
\\\ ჰეპატიტი C
\\\ ციტომეგალოვირუსი
\\ აქტიური ტუბერკულოზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ნაყოფის დაბადებიდან რამდენი საათის შემდეგ ტარდება B ჰეპატიტის საწინააღმდეგო ვაქცინაცია?
\\\ 2
\\ 12
\\\ 24
\\\ 48

\\\\ ჩამოთვლილთაგან, დედის რომელი ინფექციის არსებობა წარმოადგენს ლაქტაციის აკრძალვის ჩვენებას დღენაკლი ახალშობილისათვის?
\\\ ჰეპატიტი B
\\\ ჰეპატიტი C
\\ ციტომეგალოვირუსი
\\\ ჰერპესი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა გზით ხდება ნაყოფის ვერტიკალური ტრანსმისია ორსულის ჰერპესით დაინფიცირების დროს ყველაზე ხშირად?
\\\ ტრანსპლაცენტარულად
\\\ პარაპლაცენტარულად
\\ საშოს სეკრეტით
\\\ ჰემატოგენური გზით

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა შემთხვევაში წარმოადგენს დედის ჰერპესული ინფექცია საკეისრო კვეთის ჩვენებას?
\\\ მორეციდივე გენიტალური ჰერპესი
\\ პირველადი გენიტალური ჰერპესი მშობიარობამდე 6კვირით ადრე
\\\ პირველადი გენიტალური ჰერპესი ორსულობის II ტრიმესტრში
\\\ სკრინინგის შედეგად გამოვლენილი ჰერპესის დროს

//// ჩამოთვლილთაგან რამდენი პროცენტით ამცირებს მესამე პერიოდის აქტიური მართვა მშობიარობისშემდგომი სისხლდენების განვითარების რისკს?
/// 20%-ით
/// 40%-ით
// 60%-ით
/// 80%-ით

//// ჩამოთვლილთაგან რომელ კლინიკურ შემთხვევებში გადაიტანება უფრო მძიმედ მშობიარობისშემდგომი სისხლდენები პაციენტის მიერ?
/// ვიწრო მენჯი
/// რეზუს იმუნიზაცია
// პრეეკლამპსია
/// ვადაგადაცილება

//// მესამე პერიოდის აქტიური მართვა გულისხმობს ოქსიტოცინის ინტრამუსკულარულ ინექციას ნაყოფის გამოძევებიდან:
// ერთი წუთის განმავლობაში
/// ხუთი წუთის განმავლობაში
/// ათი წუთის განმავლობაში
/// თხუთმეტი წუთის განმავლობაში

//// ჩამოთვლილთაგან რა დოზირებით უკეთდება მშიბიარეს კუნთებში ოქტიცოტინი მესამე პერიოდის აქტიური მართვის დროს?
/// ხუთი ერთეული
// ათი ერთეული
/// თხუთმეტი ერთეული
/// ოცი ერთეული

//// რომელ ქმედებას ვაწარმოებთ ოქსიტოცინის ინექციის, ჭიპლარის გადაკვანძვის და გადაკვეთის შემდეგ?
/// პლაცენტის გამოჭყლეტვა კრედე-ლაზარევიჩის წესით
// ჭიპლარის კონტროლირებადი ტრაქცია
/// შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
/// პლაცენტის მოცილების ნიშნების დადგენა

//// მშობიარობის მესამე პერიოდის აქტიური მართვისას გამოძევდა მომყოლი. ჩამოთვლილთაგან რა სიხშირით უნდა წარმოებდეს საშვილოსნოს მასაჟი ორი საათის განმავლობაში?
/// 5 წუთში ერთჯერ
// 15 წუთში ერთჯერ
/// 25 წუთში ერთჯერ
/// 35 წუთში ერთჯერ

//// ჩამოთვლილი ტონომოტორული პრეპარატებიდან რომლის გამოყენების დროს უფრო მეტად არის დამახასითებელი არტერიული წნევის მომატება მშობიარეებსა და მელოგინეებში?
/// ოქციტოცინი
/// ენზაპროსტი
/// მიზოპროსტოლი
// მეთილერგობრევინი

//// მომყოლის და ადრეული ლოგინობის ხანის სისხლდენის დროს სხვა პირველადი ღონისძიებების პარალელურად აუცილებელია ადექვატური ინფუზური თერაპიის გადაუდებელი დაწყება. ჩამოთვლილთაგან რომელი ხსნარითაა უმჯობესი ინფუზური თერაპიის დაწყება?
/// რეოპოლიგლუკინი
// ფიზიოლოგიური ხსნარი
/// გლუკოზის 5%-იანი ხსნარი
/// ნატრიუმის ბიკარბონატი

//// სახეზეა მოჭარბებული სისხლოვანი გამონადენი ადრეული ლოგინობის ხანაში. მობილიზებულ იდაყვის ვენაში სასწრაფოდ დაიწყო 0,9% ფიზიოლოგიური ხსნარის წვეთოვანი გადასხმა. საინფუზიოდ გამოსაყენებელი კრისტალოიდების და სისხლის დანაკარგის მოცულობათა შორის უმჯობესია დავიცვათ შემდეგი პროპორციები:
/// 1 მლ. კრისტალოიდი : 1 მლ. სისხლის დანაკარგი
/// 2 მლ. კრისტალოიდი : 1 მლ. სისხლის დანაკარგი
// 3 მლ. კრისტალოიდი : 1 მლ. სისხლის დანაკარგი
/// 4 მლ. კრისტალოიდი : 1 მლ. სისხლის დანაკარგი

//// მიმდინარეობს მომყოლის პერიოდის აქტიური მართვა. განმეორებით ნაწარმოები ჭიპლარის კონტროლირებადი ტრაქციის მიუხედავად მომყოლის გამოძევება ვერ ხერხდება. საშოსმხრივი გასინჯვით არც საშოში და არც საშვილოსნოს ყელში პლაცენტის ქსოვილი არ ისინჯება. ჩამოთვლილთაგან რა სამეანო ჩარევას უნდა მიმართოს მეანმა?
// საშვილოსნოს ღრუში ხელით შესვლა, პლაცენტის მოცილება და მომყოლის გამოტანა
/// ჭიპლარის განმეორებითი კონტროლირებადი ტრაქცია
/// კრედეს წესის გამოყენება
/// ინტრავენურად ტონომოტორული პრეპარატების შეყვანა

//// მომყოლის პერიოდის სისხლდენის გამო ნაწარმოები იქნა საშვილოსნოს ღრუში ხელით შესვლა პლაცენტის მოცილების და მომყოლის გამოძევების მიზნით. ოპერაციის მსვლელობისას ირკვევა, რომ "ხერხისებური" მოძრაობით გაძნელებულია პლაცენტის აშრევება საშვილოსნოს კედლიდან, ხოლო საშოდან სისხლოვან გამონადენს არ ეტყობა შემცირების ტენდენცია. ჩამოთვლილთაგან რომელ გართულებასთან გვაქვს საქმე?
/// პლაცენტის მჭიდრო მიმაგრება
/// საშვილოსნოს ატონია
/// პლაცენტის ნაწილების რეტენცია საშვილონოს ღრუში
// პლაცენტის მიხორცება

//// მომყოლის პერიოდის სისხლდენის გამო მეანის მიერ ნაწარმოები იქნა საშვილოსნოს ღრუში ხელით შესვლა პლაცენტის მოცილებისა და მომყოლის გამოძევების მიზნით. ოპერაციის მსვლელობაში დადგინდა პლაცენტის მიხორცების არსებობა. ჩამოთვლილთაგან რა სამეანო ტაქტიკას უნდა მიმართოს მეანმა?
/// პლაცენტის მოცილების განმეორებითი ენერგიული მცდელობა
/// საშვილოსნოს გარეგანი მასაჟი
// გადაუდებელი ლაპარატომია ჰისტერექტომიის ჩატარებით
/// ტონომოტორული საშუალებების ი/ვ შეყვენა ერთჯერედად და წვეთოვნად.

//// გამოძევებული მომყოლის დათვალიერებისას აღმოჩნდა პლაცენტის დეფექტის არსებობა, კერძოდ მის პერიფერიულად, ზომით 3X3 სმ-ზე. ჩამოთვლილთაგან რა ღონისძიებებს უნდა მიმართთოს მეანმა?
// საშვილოსნოს ღრუში ხელით შესვლა, პლაცენტის ჩარჩენილი ქსოვილების მოცილება და გამოტანა
/// მოცდითი ტაქტიკა
/// საშვილოსნოს გარეგანი მასაჟი
/// ტონომოტორული საშუალებების გამოყენება

//// ადრეულ ლოგინობის ხანაში მიტანილ იქნა ეჭვი სისხლდენის კოაგულოპათიურ ხასიათზე. სასწრაფოდ ჩატარდა კოაგულაციური ექსპრეს ტესტი. ჩამოთვლილთაგან რომელი უფრო მიუთითებს კოაგულოპათიურ დარღვევებზე?
/// თრომბი არ წარმოიქმნება 1 წუთის შემდეგ
/// თრომბი არ წარმოიქმნება 3 წუთის შემდეგ
/// თრომბი არ წარმოიქმნება 5 წუთის შემდეგ
// თრომბი არ წარმოიქმნება 7 წუთის შემდეგ

//// ადრეულ ლოგინობის ხანაში ადგილი აქვს მოჭარბებულ სისხლოვან გამონადენს საშოდან. საშვილოსნო არ არის მკვეთრად კონტურირებული, დუნეა, მაგრამ რეაგირებს მექანიკურ, ქიმიურ, თერმულ, ელექტრულ გაღიზიანებებზე. ჩამოთვლილთაგან რომელი დიაგნოზი შეეფარდება ხსენებულ სიტუაციას?
// საშვილოსნოს ჰიპოტონია

/// საშვილოსნოს ატონია
/// საშვილოსნოს ინერცია
/// საშვილოსნოს სუბინვოლუცია

//// რომელი ქვემოთჩამოთვლილი პრეპარატის რექტალური დანიშვნა არის გამართლებული და ეფექტური ჰიპოტონური სისხლდენების მკურნალობის პროცესში?
/// პაპავერინი
/// ბუსკოპანი
/// ჰემოროლი
// მიზოპროსტოლი

//// ადრეული ლოგინობის ხანა გართულდა ჰიპოტონური სისხლდენით საშვილოსნოდან. ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს პირველი რიგის ღონისძიებებს?
// საშვილოსნოს გარეგანი მასაჟი და ტონომოტორული საშუალებების ი/ვ შეყვანა
/// საშვილოსნოს "მუშტზე" მასაჟი
/// ჰისტერექტომია
/// საშვილოსნოს ბიმანუალური კომპრესია

//// სახეზეა ადრეული ლოგინობის ხანის სისხლდენა საშვილოსნოს ჰიპოტონიის გამო. სისხლის დანაკაგმა მიაღწია 400 მლ. სისხლდენა გრძელდება. ჩამოთვლილთაგან რომელი სამეანო ჩარევა უნდა იქნას ნაწარმოები აღნიშნულ სიტუაციაში?
/// ლაპარატომია
// საშვილოსნოს ღრუში ხელით შესვლა და "მუშტზე" მასაჟი
/// უტეროტონიკების ინექცია
/// საშვილოსნოს გარეგანი მასაჟი

//// ადრეულ ლოგინობის ხანაში საშვილოსნოდან დაწყებული ჰიპოტონური სისხლდენის გამო ნაწარმოები იქნა საშვილოსნოს ღრუში ხელით შესვლა და "მუშტზე" მასაჟი. პარალელურად რა უნდა გაუკეთდეს მელოგინეს ზემოხსენებული სამეანო ჩარევის ეფექტურობის გაზრდის მიზნით?
// უტეროტონიკების ი/ვ შეყვანა ერთჯერადად და წვეთოვნად
/// შარდის ბუშტის კათეტერიზაცია
/// ყინულის ღრუბელის მოთავსება მუცლის წინა კედელზე
/// ასკორბინის მჟავის ი/ვ ინექცია

//// ადრეულ ლოგინობის ხანაში პაციენტს დაეწყო ჰიპოტონური სისხლდენა საშვილოსნოდან. ჩაუტარდა ადექვატური ეტაპობრივი ღონისძიებები საშვილსონოს ღრუში ხელით შესვლის და "მუშტზე" მასაჟის ჩათვლით. ხანმოკლე პაუზის შემდეგ სისხლოვანი გამონადენი კვლავ განახლდა. სისხლის საერთო დანაკარგმა ამ დროისთვის შეადგინა 1000-1200 მლ. ჩამოთვლილთაგან რომელი სამეანო ჩარევა უნდა იქნას წარმოებული დაუყონებლივ?

/// ოქსიტოცინის განმეორებით ი/ვ შეყვანა
/// განმეორებითი “მუშტზე” მასაჟი
/// საშვილოსნოს ყელზე ცირკულარულად მომჭერების დადება
// ლაპარატომია, შემდგომი ჰისტერექტომიით

//// ადრეული ლოგინობის ხანა გართულდა ჰიპოტონური სისხლდენით, რომელმაც მიიღო არაკონტროლირებადი (მასიური) ხასიათი. სისხლის საერთო დანაკარგმა შეადგინა 1000-1200 მლ. მელოგინე მზადდება ურგენტული ლაპარატომიისთვის. როგორც დროებითი ღონისძიება, ნაწარმოები იქნა მუცლის აორტის მიჭყლეტა მუცლის წინა კედლიდან. ჩამოთვლილი მეთოდებიდან რომელი ითვლება ასევე ქმედით, დროებით ღონისძიებად სისხლდენის შესაჩერებლად ლაპარატომიის წინ?
// საშვილოსნოს ბიმანუალური კომპრესია
/// გარეგანი მასაჟი
/// უტეროტონიკების განმეორებითი ი/ვ შეყვანა
/// ცივი ღრუბელი მუცლის წინა კედელზე

//// ადრეული ლოგინობის ხანის მასიური ჰიპოტონური სისხლდენის გამო კეთდება გადაუდებელი ლაპარატომია. სახეზეა თრომბოჰემორაგიული სინდრომის ბიოქიმიური და კლინიკური ნიშნები. ჩამოთვლილთაგან მართებულად უნდა ჩაითვალოს ოპერაციული ჩარევის შემდეგი მასშტაბი:
/// საშვილოსნოს საშოსზედა ამპუტაცია
/// საშვილოსნოს მაგისტრალური სისხლძარღვების გადაკვანძვა
// საშვილონოს ექსტირპაცია
/// საშვილოსნოს დეფუნდაცია

//// კლიტორის არეში დეფექტის დროს მისი მთლიანობის აღდგენისას აუცილებელია შემდეგი პირობის დაცვა:
// შარდსადენში წინასწარ კათეტერის ჩადგმა
/// გაკერვა ხდება რექტალური კონტროლით
/// ჭრილობის ირგვლივ უტეროტონიკების ინექცია
/// კლიტორის ჭრილობაზე ყინულიანი ბუშტის აპლიკაცია

//// რბილის სამშობიარო გზების დათვალიერებისას აღმოჩნდა შორისის ღრმა ჩახევა. რექტალური გასინჯვით სწორი ნაწლავის კედელი და სფინქტერი მთელი. შორისის რომელი ხარისხის ჩახევას აქვს ადგილი?
/// I ხარისხის
// II ხარისხის
/// III ხარისხის
/// ცენტრალური ჩახევა

//// შორისის მესამე ხარისხის ჩახევის დროს შორისის მთლიანობის აღდგენა უნდა დაიწყოს:
/// საშოს ლორწოვანის გაკერვით
/// შორისის კუნთების გაკერვით

// სწორი ნაწლავის კედლის და სფინქტერის გაკერვით
/// შორისის კანის გაკერვით

//// ჩამოთვლილი მეთოდებიდან რომელი იხმარება საშვილოსნოს ყელის ჩახევის ხარისხის დასადგენად?
// სარკეებით გასინჯვა
/// რექტალური გასინჯვა
/// საშოსმხრივი გასინჯვა
/// რექტო-ვაგინალური გასინჯვა

//// ჩამოთვლილთაგან საშვილოსნოს ყელის რომელი ხარისხის ჩახევის დროს არის აუცილებელი ნაწარმოები იქნას საშვილოსნოს ღრუს ხელით რევიზია?
/// I ხარისხის ჩახევა
/// II ხარისხის ჩახევა
// III ხარისხის ჩახევა

//// ჩამოთვლილთაგან რომელი გინეკოლოგიური გართულებაა უფრო მეტად მოსალოდნელი შორისის ჭრილობის არასრულფასოვანი გაკერვის შემთხვევებში?
/// საშვილოსნოს მიომა
/// ენდომეტრიოზი
/// საკვერცხის კისტა
// საშოს კედლების დაწევა

//// ჩამოთვლილთაგან რომელი წარმოადგენს საშვილოსნოს გახევის ყველაზე ხშირ ლოკალიზაციას?
/// საშვილსნოს ფუძე
/// საშვილოსნოს წინა კედელი
// საშვილოსნოს ქვედა სეგმენტი
/// საშვილოსნოს უკანა კედელი

//// ჩამოთვლილთაგან რომელი სამეანო პათოლოგიისთვის უფროა დამახასიათებელი ცრუ ჭინთვები?
// საშვილოსნოს მოსალოდნელი გახევა
/// საშვილოსნოს ყელის დისტოცია
/// სამშობიარო მოქმედების სისუსტე
/// ნაადრევი მშობიარობა

//// საშვილოსნოს ტეტანური შეკუმშვები წარმოადგენს საშვილოსნოს დაწყებითი გახევის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სადიაგნოსტიკო ნიშანს. ჩამოთვლილთაგან კიდევ რომელი პათოლოგიისთვის არის დამახასიათებელი საშვილოსნოს ტეტანური შეკუმშვები?
/// პრეეკლამპსია
// ოქსიტოცინის ჰიპერდოზირება სტიმულაციის დროს
/// სამშობიარო მოქმედების დისკოორდინაცია
/// ნაადრევი მშობიარობა

//// ჩამოთვლილთაგან რა მასშტაბის ოპერაცია უნდა გაკეთდეს საშვილოსნოს დასრულებული გახევის შემთხვევაში?
/// საშვილოსნოს საშოსზედა ამპუტაცი
/// საშვილოსნოს დეფუნდაცია
// საშვილოსნოს ექსტირპაცია
/// საშვილოსნოს ჭრილობის გაკერვა

//// მშობიარე აფორიაქებულია; ყვირის. სახე შეშინებული. ობიექტურად: საშვილოსნოს ქვედა სეგმენტი ძალზედ მტკივნეული და დაჭიმული; ვულვა შეშუპებული. საშვილოსნოს მიღებული აქვს ქვიშის საათის ფორმა. კონტრაქციული რგოლი ელევირებულია და მდებარეობს ირიბად. ნაყოფის გულისცემის მოსმენა გაძნელებულია. რომელ სამეანო პათოლოგიასთან გვაქვს საქმე?
/// ნორმალურად მიმაგრებული პლაცენტის ნაადრევი აცლა
/// სამშობიარო მოქმედების დისკოორდინაცია
/// პლაცენტის წინმდებარეობა
// საშვილოსნოს მოსალოდნელი გახევა

//// საშოსმხრივი გასინჯვით და ექოსკანირებით ირკვევა, რომ საშვილოსნოს არასრულ გახევას მოყვა ინტრალიგამენტური ჰემატომის ჩამოყალიბება. ჩამოთვლილთაგან რა ლოკალიზაციის გახევისთვის უფროა დამახასიათებელი ინტრალიგამენტური ჰემატომის განვითარება?
// საშვილოსნოს გვერდითი კედელი
/// საშვილოსნოს ფუძე
/// საშვილოსნოს ქვედა სეგმენტი
/// საშვილოსნოს უკანა კედელი

//// მომყოლის პერიოდის აქტიური მართვის შემადგენელი კომპონენტებიდან რომელი მათგანია განკუთვნილი საშვილოსნოს პირუკუ გადმობრუნების საპროფილაქტიკოდ?
/// ოქსიტოცინის ი/მ ინექცია
/// საშვილოსნოს გარეგანი მასაჟი
// კონტრტრაქცია ბოქვენის ზემოთ დადებული ხელით
/// ჭიპლარის კონტროლირებადი ტრაქცია

//// მომყოლის პერიოდში ჭიპლარის მკვეთრი მოქაჩვის და პარალელურად კრედეს წესით მომყოლის გამოჭყლეტვის მცდელობისას უეცრად მშობიარე გახდა ცუდად. აღენიშნება მწვავე ტკივილები მუცლის არეში, ტაქიკარდია, არტერიული წნევის შემცირება. კანი ფერმკრთალია. სასქესო ნაპრალიდან გამოჩრილია რბილი კონსისტენციის, წითელი ფერის სიმსივნური წარმონაქმნი, რომლის ქვედა პოლუსზე მიმაგრებულია პლაცენტა. მუცლის წინა კედლიდან საშვილოსნოს პალპირება ვერ ხერხდება. ჩამოთვლილთაგან რომელ სამეანო გართულებასთან გვაქვს საქმე?
/// საშვილოსნოს გახევა

// საშვილოსნოს პირუკუ გადმობრუნება
/// პლახცენტის არასრული წინმდებარეობა
/// პლაცენტის მიხორცება

//// ჩამოთვლილთაგან რომელი ითვლება შარდბუშტ-საშოს ფისტულის ჩამოყალიბების ყველაზე მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად?
/// სანაყოფე სითხის ნაადრევი დაღვრა
/// სამშობიარო მოქმედების დისკოორდინაცია
/// პლაცენტის წინმდებარეობა
// ნაყოფის თავის ერთ სიბრტყეში დიდხანს დგომა

//// ჰემორაგიული შოკი ვითარდება სისხლის დანაკარგის დროს, რომლის მოცულობაა:
/// სხეულის მასის 0,2%-ზე მეტი
/// სხეულის მასის 0,5%-ზე მეტი
/// სხეულის მასის 0,7%-ზე მეტი
// სხეულის მასის 1%-ზე მეტი

//// მწვავე სისხლის დანაკარგის (700-1300 მლ) საწყის ეტაპზე ქალის ორგანიზმში ვითარდება კომპენსატორული რეაქცია, რაც მდგომარეობს სიმპატო-ადრენალური სისტემის აქტივაციაში კატექოლამინების გამოყოფით. ჩამოთვლილთაგან პულსის რა სახის ცვლილებებია ტიპიური ზემოხსენებული გარდაქმნების დროს?
/// ბრადიკარდია
// ტაქიკარდია
/// სიხშირე არ იცვლება
/// ექსტრასისტოლური არითმია

//// სამეანო სისხლდენის დროს კომპენსატორულად ხდება წყლის შეკავება ორგანიზმში და ინტერსტიციალური სითხის გადათავსება სისხლძარღვთა კალაპოტში. ჩამოთვლილთაგან რომელი ჰორმონის სეკრეციის გაზრდის მეშვეობით ხორციელდება ზემოხსენებული ცვლილებები?
/// ოქსიტოცინი
/// პროლაქტინი
// ანტიდიურეზული
/// ინსულინი

//// რომელი ჩამოთვლილი ნეიროენდოკრინული სინდრომებისგან წარმოადგენს უფრო სპეციფიურ გართულებას ქალებისთვის, რომლებმაც წინა მშობიარობის დროს გადაიტანეს მასიური სისხლდენა?
/// ადრენოგენიტალური სინდრომი
/// პრემენსტრუალური სინდრომი
/// კიარი-ფრომელის სინდრომი
// შიენის სინდრომი

//// ჰემორაგიული შოკის ინტენსიური მკურნალობის ეფექტურობის შეფასების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კრიტერიუმს წარმოადგენს დიურეზის მოცულობა. ჩამოთვლილთაგან დიურეზის რა ზღვრული მაჩვენებელია უფრო მართებული?
// კრიტიკულია 30 მლ./სთ-ზე ნაკლები
/// კრიტიკულია 60 მლ./სთ-ზე ნაკლები
/// კრიტიკულია 90 მლ./სთ-ზე ნაკლები
/// კრიტიკულია 120 მლ./სთ-ზე ნაკლები

//// ჰემორაგიული შოკის ინტენსიური მკურნალობის პროცესში ცირკულირებადი სისხლის მოცულობის აღდგენის, მიკროცირკულაციის გაუმჯობესების და ლაზიქსის მცირე დოზების შეყვანის მიუხედავად დიურეზის მოცულობა არ იზრდება. ამასთანავე სხვა კრიტერიუმების მიხედვით (TA, P, CVP, HB, HT, სისხლის შედედების დრო) აღინიშნება დადებითი დინამიკა. სისხლდენის შეჩერების მიზნით პაციენტს ჩაუტარდა ოპერაცია: საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატების გარეშე. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელ გართულებაზე უნდა ვიფიქროთ შექმნილ სიტუაციაში?
// შარდსაწვეთის გადაკვანძვა
/// შარდის ბუშტის დაბეჭვა
/// შარდის ბუშტის ტრამვა
/// ორმხრივი ჰიდრონეფროზი

//// დადგენილია, რომ სისხლის დანაკარგის პროგრესირების პარალელურად ჰემოტრანსფუზიის მოცულობა უნდა აჭარბებდეს სისხლის დანაკარგის მოცულობას. ერთი და იგივე სისხლის დანაკარგის პირობებში ჰემოტრანსფუზიის ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა მოცულობა ჩაითვლება უფრო მართებულად?
/// სისხლის დანაკარგი შეადგენს სხეულის მასის 0,8-1,0% - ჰემოტრანსფუზიის მოცულობა 70-80%
/// სისხლის დანაკარგი შეადგენს სხეულის მასის 0,8-1,0% - ჰემოტრანსფუზიის მოცულობა 100-105%
// სისხლის დანაკარგი შეადგენს სხეულის მასის 0,8-1,0% - ჰემოტრანსფუზიის მოცულობა 130-150%
/// სისხლის დანაკარგი შეადგენს სხეულის მასის 0,8-1,0% - ჰემოტრანსფუზიის მოცულობა 180-200%

//// ჩამოთვლილთაგან რომელი სამეანო სიტუაციისთვის არ არის დამახასიათებელი თრომბოჰემორაგიული სინდრომის განვითარება?
/// ნორმალურად მიმაგრებული პლაცენტის ნაადრევი აცლა
/// მკვდარი ნაყოფი
/// ლოგინობის ხანის სეფსისი
// სამშობიარო მოქმედების პირველადი სისუსტე

//// ქვემოთ ჩამოთვლილი გამოკვლევის მეთოდებიდან რომლის პრეროგატივას წარმოადგენს პლაცენტის მიხორცების კონკრეტული ფორმის (ACRETA, INCRETA, PERCRETA) დაზუსტება?

/// კლინიკური
// ჰისტოპათოლოგიური
/// ბიოქიმიური
/// ელექტროფიზიოლოგიური

//// საკეისრო კვეთის ოპერაციის რომელი ქვემოთ ჩამოთვლილი სახეობა ითვლება ნაკლებ საიმედოდ ოპერაციისშემდგომ პერიოდში ნაწიბურის არასრულფასოვნების განვითარების მაღალი რისკის გამო?
/// ქვედა სეგმენტში გარდიგარდმო განაკვეთით
/// ექსტრაპერიტონეალური
// კორპორალური
/// ქვედა სეგმენტში, პერიტონეუმის დროებითი შემოფარგვლით

//// კეთდება გადაუდებელი ლაპარატომია საშვილოსნოს დაწყებითი გახევის დიაგნოზით. სახეზეა პირველადი მშობიარე 23 წლის. პირველი ორსულობა დასრულდა გვიანი თვითნებითი აბორტით 16-17 კვირის ორსულობის ვადაზე. ამჟამად უწყლო შუალედი შეადგენს 2 საათს. ინფექციის კლინიკური ნიშნები არ აღინიშნება. საოპერაციო არის დათვალიერებისას ქვედა სეგმენტში, მარცხნივ აღინიშნება ნახეთქი 2X3 სმ-ზე. ლოკალურად ქსოვილი ჩვეულებრივი ელფერის, ნადებების გარეშე. კიდეები სწორი. ჩამოთვლილთაგან რომელი სამეანო ჩარევა უნდა შეირჩეს მეანის მიერ?
/// საშვილოსნოს ექსტირპაცია
/// საშვილოსნოს საშოსზედა ამპუტაცია
/// საშვილოსნოს დეფუნდაცია
// საშვილოსნოს ჭრილობის გაკერვა.

\\\\ ქვემოთჩამოთვლილი რომელი მდგომარეობის დროს ვითარდება ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია?
\\\ ენტოდერმალური სინუსის სიმსივნე
\\\ კისტოზური ტერატომა
\\\ დისგერმინომა
\\ საკვერცხეების პოლიკისტოზი

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კლასიფიკაციის თანახმად ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიური პროცესების ძირითად ფორმებს?
\\\ ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია
\\\ ენდომეტრიუმის პოლიპი
\\ საშვილოსნოს სარკომა
\\\ ატიპიური ჰიპერპლაზია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი განიხილება როგორც კიბოსწინა დაავადება?
\\\ ჯირკვლოვან-კისტოზური ჰიპერპლაზია
\\\ ჯირკვლოვან-ფიბროზული პოლიპი

\\ ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზია
\\\ საშვილოსნოს კიბო

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი სიმპტომი არ არის დამახასიათებელი ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიური პროცესების კლინიკისათვის?
\\\ მესტრუალური ციკლის დარღვევები
\\ ქალები ასაკი 40-50წელი
\\\ სისხლდენები სასქესო გზებიდან
\\\ საშოდან თეთრი ფერის გამონადენი

\\\\ ენდომეტრიუმის კიბოს და ჰიპერპლაზიური პროცესების ავადობის ზრდა არ არის დაკავშირებული:
\\\ ცხიმოვანი და ნახშირწყლოვანი ცვლის მოშლასთან
\\\ ჰიპერტენზიასთან
\\\ გლუკოზის ტოლერანტობის მოშლასთან (შაქრიანი დიაბეტი)
\\ წყალ-მარილოვანი ცვლის მოშლასთან

\\\\ ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზია ხშირად გარდაიქმნება კიბოში:
\\\ რეპროდუქციულ ასაკში
\\\ კლიმაქტერულ ასაკში
\\ ნებისმიერ ასაკში
\\\ პოსტმენოპაუზის პერიოდში

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან, რომელი სიმპტომი არ წარმოადგენს რეპროდუქციულ ასაკში ჰიპერპლაზიური პროცესების კლინიკურ გამოვლინებას?
\\\ აციკლური სისხლდენა
\\\ აციკლური სისხლდენა
\\\ სისხლდენა მენსტრუალური ციკლის შუაში
\\ თეთრად შლა

\\\\ ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია წარმოადგენს ენდომეტრიუმის ჯირკვლებისა და სტრომის მორფოლოგიურ ცვლილებას, რომელიც განპირობებულია:
\\ აბსოლუტური და შეფარდებითი ჰიპერესტროგენიით
\\\ პროგესტერონის დონის მატებით და ჰიპოესტროგენიით
\\\ ჰიპერანდროგენიით
\\\ ჰიპოანდროგენიით

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელ პათოლოგიასთან არ ატარებენ დიფერენციალურ დიაგნოზს ენდომეტრიუმის კიბოსა და ჰიპერპლაზიური პროცესების დიაგნოსტიკაში?
\\\ საშვილოსნოს სუბმუკოზურ კვანძებთან
\\\ ენდომეტრიუმის ჯირკვლოვან-ფიბროზულ პოლიპთან
\\\ საკვერცხეების ჰორმონალურად აქტიურ სიმსივნეებთან
\\ საშვილოსნოს ყელის ეროზიასთან

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელია ენდომეტრიუმის კიბოს მეტასტაზირების ძირითადი გზაა:
\\\ ჰემატოგენური
\\ ლიმფოგენური
\\\ იმპლანტაციური
\\\ კონტაქტური

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი მეთოდი არ გამოიყენება ენდომეტრიუმის კიბოს პროფილაქტიკის მიზნით?
\\\ ოვულაციის მოშლის კორექცია და მკურნალობა
\\\ დიაბეტის, გაცხიმოვნების და ჰიპერტონული დაავადების დროული მკურნალობა
\\\ ორალური კონტრაცეპტივების გამოყენება
\\ ჰიპერპლაზიური პროცესების გვიანი გამოვლენა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელ ორგანოში გამომუშავდება გონადოტროპინები?
\\\ ჰიპოთალამუსში
\\ ჰიპოფიზის წინა წილში
\\\ ჰიპოფიზის უკანა წილში
\\\ საკვერცხეებში

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზიური პროცესების დროს ესტროგენების და პროგესტერონის დონე მსგავსია იმ ჰორმონალური სურათისა, რომელიც გვხვდება:
\\\ პოსტმენოპაუზის დროს
\\\ პრემენოპაუზის დროს
\\ მენსტრუალური ციკლის პირველ ფაზაში
\\\ მენსტრუალური ციკლის მეორე ფაზაში

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის (ჯანმო) კლასიფიკაციით რომელი პათოლოგია არ მიეკუთვნება ენდომეტრიუმის ფონურ დაავადებებს?
\\\ ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია
\\\ ენდომეტროიდული პოლიპი
\\ ატიპიური ჰიპერპლაზია
\\\ ჯირკვლოვან-კისტოზური ჰიპერპლაზია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან ენდომეტრიუმის კიბოსწინა დაავადებებს მიეკუთვნება:
\\\ კლიმაქტერულ პერიოდში მორეციდივე ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია
\\ ენდომეტრიუმის პოლიპი ატიპიური ჰიპერპლაზიით
\\\ ატროფიული ენდომეტრიუმი
\\\ ენდომეტრიუმის ჯირკვლოვანი პოლიპი

\\\\ ჩამოთვლილთაგან ენდომეტრიუმის კიბოს რომელ ფორმას ვხვდებით

უფრო ხშირად?
\\\ ენდოფიტურს
\\ ეგზოფიტურს
\\\ წყლულოვანს
\\\ წყლულოვან-ინფილტრაციულს

\\\\ ენდომეტრიუმის კიბოს პირველი სტადია იყოფა სამ ვარიანტად ($I_ა$; $I_გ$; $III_გ$), სადაც უპირატესი მნიშვნვანა ენიჭება:
\\\ საშვილოსნოს ზომებს
\\\ საშვილოსნოს ღრუს სიდიდეს
\\ სიმსივნის მიომეტრიუმში ინვაზიის ხარისხს
\\\ სიმსივნის საშვილოსნოს სხეულის გარეთ გავრცელების ხარისხს

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან ენდომეტრიუმის კიბოზე ეჭვის დროს ჰისტეროსკოპია საშუალებას ვერ გვაძლევს დავადგინოთ:
\\\ პათოლოგიური პროცესის არსებობა
\\ ინვაზიის სიღრმე
\\\\ პროცესის გავრცელების სიდიდე ზედაპირზე
\\\ ვაწარმოოთ დამიზნებითი ბიოფსია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელიც მეთოდი გვაძლევს საშუალებას ზუსტად განვსაზღვროთ ენდომეტრიუმის პათოლოგია?
\\\ ენდომეტრიუმის ასპირაციული ბიოფსია
\\\ ჰისტეროსკოპია
\\ ენდომეტრიუმის გამონაფხეკის ჰისტოლოგიური შესწავლა
\\\ ტრანსვაგინალური ექოგრაფია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რეპროდუქციულ ასაკში ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზიის მკურნალობისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს:
\\\ ანდროგენები
\\\ პარლოდელი
\\ გესტაგენები უწყვეტ რეჟიმში და ოვულაციის სტიმულაციის პრეპარატები
\\\ სხივური თერაპია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რეპროდუქციულ ასაკში ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზიის მკურნალობისთვის შესაძლებელია გამოყენებული იქნეს:
\\\ ქიმიოთერაპია
\\ ესტროგენ-გესტაგენური პრეპარატები, ასევე ლაპარასკოპია საკვერცხის კაფსულის კაუტერიზაციით
\\\ ტოტალური ჰისტერექტომია
\\\ სუბტოტალური ჰისტერექტომია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი პრეპარატები არ გამოიყენება რეპროდუქციული ასაკის პაციენტებში ენდომეტრიუმის პროლიფერაციული პროცესების მკურნალობაში?

\\\ კომბინირებული ესტროგენ-გესტაგენური პრეპარატები
\\\ სინთეტური პროგესტინები
\\ გონადოტროპინ რილიზინგ-ჰორმონის აგონისტები
\\\ პროგესტერონი

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან პრემენოპაუზაში ენდომეტრიუმის პროლიფერაციული პროცესების მკურნალობაში გამოიყენება:
\\\ დაბალდოზიანი კომბინირებული ესტროგენ-გესტაგენური პრეპარატები
\\\ გონადოტროპინ-რილიზინგ ჰორმონის აგონისტები
\\ სინთეტური პროგესტინები უწყვეტ რეჟიმში
\\\ ანდროგენები

\\\\ პოსტმენოპაუზაში ენდომეტრიუმის ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზიის მკურნალობაში უპირატესობა ენიჭება:
\\\ სინთეტური პროგესტინებით ჰორმონოთერაპიას
\\\ ესტროგენ-გესტაგენური პრეპარატებით ჰორმონოთერაპიას
\\ ოპერაციულ მკურნალობას
\\\ ენდომეტრიუმის ჰისტერორეზექციას

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რაზე არ არის დამოკიდებული ენდომეტრიუმის პროლიფერაციული პროცესების მკურნალობის სქემის შერჩევა?
\\\ ავადმყოფის ასაკზე
\\ ანამნეზში მშობიარობის რაოდენობასა და დამძიმებულ მემკვიდრეობაზე
\\\ ენდომეტრიუმის პათოლოგიის სახეზე
\\\ გულ-სისხლძარღვთა და ჰეპატობილიარული ზონის თანმხლები პათოლოგიის არსებობაზე.

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება საშვილოსნოსშიდა პათოლოგიის დიაგნოსტიკის მეთოდებს?
\\\ ჰისტეროსკოპია, ფრაქციული დიაგნოსტიკური გამოფხეკით
\\ კოლპოსკოპია და ლაპარასკოპია
\\\ მეტროსალპინგოგრაფია
\\\ ტრანსვაგინალური ექოგრაფია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რა არის დამახასიათებელი ენდომეტრიუმის კიბოს I პათოგენეზური ვარიანტისთვის?
\\ ენდომეტრიუმის პროლიფერაციული პროცესები ანამნეზში
\\\ ენდომეტრიუმის ატროფია ადრინდელ გამოკვლევებში
\\\ სიმსივნეზე გესტაგენების მგრძნობელობის არარსებობა
\\\ სწრაფი ზრდა და მეტასტაზირება

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რა არის დამახასიათებელი ენდომეტრიუმის კიბოს II პათოგენეზური ვარიანტისათვის?
\\\ სიმსივნის მაღალი დიფერენციაცია
\\ მიომეტრიუმში ღრმა ინვაზია

\\\ ანამნეზში ენდომეტრიუმის პროლიფერაციული პროცესები
\\\ ნელი ზრდა და მეტასტაზირების არ არსებობა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი მახასიათებლები არ აღინიშნება ენდომეტრიუმის კიბოს კლინიკური ნიშნებიდან?
\\\ აციკლური სისხლიანი გამონადენი სასქესო გზებიდან
\\ თხელი, ხაზოვანი M-ექო
\\\ ლორწოვანი ან ჩირქოვანი გამონადენი პოსტმენოპაუზაში
\\\ სისხლიანი გამონადენი პოსტმენოპაუზაში

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რა წარმოადგენს შერჩევის მეთოდს ენდომეტრიუმის კიბოს დიაგნოსტიკაში?
\\\ მეტროსალპინგოგრაფია
\\\ ტრანსვაგინალური ექოგრაფია
\\ ჰისტეროსკოპია, დიაგნოსტიკური გამოფხეკით ან დამიზნებითი ბიოფსიით
\\\ ბიმანუალური გინეკოლოგიური გამოკვლევა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი სკრინინგ-მეთოდი გამოიყენება ენდომეტრიუმის პათოლოგიის დიაგნოსტიკაში?
\\ საშვილოსნოს ღრუს ასპირატის ციტოლოგიური გამოკვლევა და ტრანსვაგინალური ექოგრაფია
\\\ ჰისტეროსკოპია
\\\ მეტროსალპინგოგრაფია
\\\ რადიოიზოტოპური გამოკვლევა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რა არ მიეკუთვნება ენდომეტრიუმის კიბოსწინა კლინიკო-მორფოლოგიურ პათოლოგიას:
\\\ პოსტმენოპაუზაში ენდომეტრიუმის ატროფიის ფონზე მორეციდივე სისხლიანი გამონადენი სასქესო გზებიდან
\\ ენდომეტრიუმის კეროვანი ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია
\\\ ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზია
\\\ ენდომეტრიუმის პოლიპი ატიპიური ჰიპერპლაზიით

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი დაავადებების დროს არის ენდომეტრიუმის კიბოს განვითარების განსაკუთრებით მაღალი რისკი?
\\\ საშვილოსნოს ყელის დისპლაზია
\\\ ენდომეტრიტი
\\\ ქრონიკული ადნექსიტი
\\ ჰორმონმაპროდუცირებელი სიმსივნეები, საკვერცხეების თეკომა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი დაავადებების დროს არის ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზიის განვითარების განსაკუთრებით მაღალი რისკი?
\\ სარძევე ჯირკვლის კიბო, ასევე შტეინ-ლევენტალის სინდრომი
\\\ საშვილოსნოს ყელის დისპლაზია
\\\ საშვილოსნოს განვითარების ანომალია (საშვილოსნოს ტიხარი)

\\\ ენდომეტრიტი

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რა არ არის დამახასიათებელი ენდომეტრიუმის კიბოს I პათოგენეზური ვარიანტისათვის?
\\\ სიმსივნის მაღალი დიფერენციაცია
\\\ ხშირი სინქრონული და მეტასინქრონული კიბოს აღმოცენება ძუძუში, საკვერცხეში, სწორ ნაწლავში
\\\ შაქრიანი დიაბეტი, გაცხიმოვნება, არტერიული ჰიპერტენზია
\\ სიმსივნეზე პროგესტინების დაბალი მგრძნობელობა ან მისი არ არსებობა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ენდომეტრიუმის ატიპიური ჰიპერპლაზიის მორფოლოგიურ ნიშნებს?
\\\ უჯრედული ატიპია
\\\ ჯირკვლების ქაოტური განლაგება
\\ ატიპიურ ჯირკვლებს შორის ხაზალური მემბრანის და ციტოგენური სტრომის დარღვევა
\\\ ჯირკვლების ფორმის და ზომის ცვლილება

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რა არ არის დამახასიათებელი ენდომეტრიუმის კიბოს II პათოგენეზური ვარიანტისათვის?
\\\ საკვერცხეების ფიბროზი
\\\ ენდომეტრიუმის ატროფია
\\ ნეირო-ენდოკრინული მოშლილობები
\\\ ანამნეზში ენდომეტრიუმის პროლიფერაციული პროცესების არ არსებობა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი არ მიეკუთვნება ენდომეტრიუმის კიბოს რისკ-ფაქტორებს?
\\\ შაქრიანი დიაბეტი
\\\ გაცხიმოვნება და არტერიული ჰიპერტენზია
\\ ხშირი სქესობრივი კავშირი
\\\ ენდოკრინული გენეზის უნაყოფობა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან საშვილოსნოს პრესარკომას მიეკუთვნება:
\\ ატიპიური პროლიფერაციული მიომა
\\\ ჯირკვლოვანი ჰიპერპლაზია
\\\ ენდომეტრიტი
\\\ ენდომეტრიუმის კიბო

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან საშვილოსნოს სარკომის მეტასტაზირების ძირითადი გზებია:
\\ ლიმფოგენური და ჰემატოგენური
\\\ კონტაქტური
\\\ იმპლანტაციური
\\\ ჰაერ-წვეთოვანი

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან პაციენტების რა ასაკში ვითარდება საშვილოსნოს სარკომა:
\\\ 15-20 წლის ასაკში
\\\ 20-30 წლის ასასკში
\\ 40-50 წლის ასაკში
\\\ 70-80 წლის ასაკში

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელ სკრინინგ-მეთოდს იყენებენ საშვილოსნოს სარკომის დიაგნოსტიკის მიზნით?
\\\ კომპიუტერულ ტომოგრაფიას
\\ ტრანსვაგინალურ ექოგრაფიას
\\\ გინეკოლოგიურ ბიმანუალურ გამოკვლევას
\\\ არტერიოგრაფიას

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან საშვილოსნოს სარკომის დიაგნოსტიკის შერჩევის მეთოდია
\\ ჰისტეროსკოპია დამიზნებითი ბიოფსიით
\\\ მეტროსალპინგოგრაფია
\\\ კოლპოსკოპია
\\\ ლაპარასკოპია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან საშვილოსნოს სარკომის მკურნალობის ძირითადი მეთოდია:
\\ საშვილოსნოს ოპერაციული ამოკვეთა დანამატებთან ერთად
\\\ ჰორმონალური თერაპია
\\\ ანტიბიოტიკოთერაპია
\\\ სხივური თერაპია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი პრეპარატების გამოყენებაა შესაძლებელი საშვილოსნოს სტრომალური სარკომის ჰორმონოთერაპიის დროს?
\\ პროგესტინები
\\\ ესტროგენები
\\\ ანდროგენები
\\\ კლიმიფენი

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი მიეკუთვნება საშვილოსნოს სარკომის პროფილაქტიკურ ღონისძიებას?
\\ პაციენტების ოპერაციული მკურნალობა, რომელთაც აღენიშნებათ მიომა სწრაფი ზრდით
\\\ პაციენტების კონსერვატული მკურნალობა, რომელთაც აღენიშნებათ მიომა სწრაფი ზრდით
\\\ რეპროდუქტიულ ასაკში ორალური კონტრაცეპტივების გამოუყენებლობა

\\\ ენდოკრინული დისბალანსის გვიანი კორექცია

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან ლეიომიოსარკომის დროს ყველაზე სანდო სადიაგნოსტიკო მეთოდია:
\\\ პაპ-ნაცხი
\\\ ენდოცერვიკალური კიურეტაჟი
\\\ დილატაცია და კიურეტაჟი
\\ ჰისტერექტომიის შემდგომი პრეპარატის ექსპრეს ჰისტოლოგიური კვლევა

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რომელი ადგილი უჭირავს გენიტალური ტრაქტის ავთვისებიან სიმსივნეებს შორის ენდომეტრიუმის კიბოს?
\\\ – I
\\ – II
\\\ – III
\\\ – IV

\\\\ ენდომეტრიუმის ჰიპერპლაზია განისაზღვრება როგორც პათოლოგიური პროლიფერაცია:
\\ ჯირკვლოვანი და სტრომული ელემენტების ჰისტოლოგიური არქიტექტურის ცვლილებით
\\\ მხოლოდ ჯირკვლოვანი ელემენტების ჰისტოლოგიური არქიტექტურის ცვლილებით
\\\ მხოლდ სტრომის ელემენტების ჰისტოლოგიური არქიტექტურის ცვლილებით
\\\ მხოლოდ ჯირკვლოვანი და სტრომული ელემენტების ნორმალური ჰისტოლოგიური არქიტექტურით

\\\\ ქვემოთჩამოთვლილთაგან რა არისატიპიური ადენომატოზური ჰიპერპლაზია?
\\\ კომპლექსური ჰიპერპლაზია
\\\ მარტივი ჰიპერპლაზია
\\\ ატიპიური ჰიპერპლაზია
\\ ადენომატოზური ჰიპერპლაზია

////ამენორეა არის მენსტრუაციის არ ქონა სულ მცირე
/// 4 თვის განმავლობაში
/// 2 თვის განმავლობაში
// 6 თვის განმავლობაში
/// 8 თვის განმავლობაში

//// რა ეწოდება მენსტრუალური ფუნქციის დარვევას, რომლის დროსაც მცირდება გამოყოფილი სისხლის რაოდენობა?
// ჰიპომენორეა

/// ოლიგომენორეა
/// ამენორეა
/// ოპსომენირეა

//// მტკივნეული მენსტრუაციას ეწოდება
/// ოლიგომენორეა
// ალგოდისმენორეა
/// ოპსომენორეა
/// სპანიომენორეა

////ცრუ ამენორეის ყველაზე ხშირ მიზეზს წარმოადგენს
// საქალწულე აპკის ატრიზია
/// საშვილოსნოს აპლაზია
/// საკვერცხეების აგენეზია
/// საშოს აგენეზია

//// რა ეწოდება ქალებში ლაქტაციის დროს მენსტრუაციის არარსებობას?
/// ცრუ ამენორეა
/// ფსიქოგენური ამენორეა
// ფიზიოლოგიური ჭეშმარიტი ამენორეა
/// პათოლოგიური ჭეშმარიტი ამენორეა

//// ლაქტაციური ამენორეის განვითარებაში რომელი ჰორმონის ჰიპერპროდუქციას ენიჭება გადამწყვეტი
მნიშვნელობა
//პროლაქტინის
/// პროგესტერონის
/// ესტრადიოლის
/// ფოლიკულმასტიმულირებული ჰორმონის

////გონადების დისგინეზიიის ტიპიური ფორმაა
/// შიენის სინდრომი
// შერეშევსკი- ტერნერის სინდრომი
/// შტეინ- ლევენტალის სინდრომი
///ადრენოგენიტალური სინდრომი

//// შერეშევსკ ტერნერის სინდრომის დროს კარიოტიპია
/// 46XY
// 45X0
/// 46XX
/// 45XY

//// რომელ პათოლოგიას ახასიათებს ქალური ფენოტიპი, ნორმალური ან ჰიპოპლასტიური გარეთა სასქესო ორგანოები, საშვილოსნოსა და კვერცხსავალი მილების არ არსებობა

/// შერეშევსკი- ტერნერის სინდრომი
// ტესტიკულური ფემინიზაცია
/// გონადების დისგინეზიის სუფთა ფორმა
/// საკვერცხის პირველადი ჰიპოფუნქცია

//// ფსიქოგენური ამენორეა არის
/// ჰიპოფიზური ამენორეა
// ჰიპოთალამური ამენორეა
/// საკვერცხისმიერი ამენორეა
/// საშვილოსნოსმიერი ამენორეა

//// მშობიარობისშემდგომი ჰიპოპიტუიტარიზმი იწოდება როგორც
// შიენის სინდრომი
/// შერეშევსკი- ტერნერის სინდრომი
/// შტეინ ლევენტალის სინდრომი
///ადრენოგენიტალური სინდრომი

//// პაციენტს დაუდგინდა დიაგნოზი: მეორადი ამენორეა,ჰიპოფიზის ქრომოფობული ადენომა. მას აღენიშნება მხედველობის გაუარესება სიმპტომები. უჩივის უნაყოფობას კიდევ რა კლინიკური გამოვლინება ექნება პაციენტს
/// ზოგადი შეშუპება
/// ატაქსია
/// კახექსია
// გაცხიმოვნება

//// ადრეული საკვერცხისმიერი უკმარისობა ვლინდება მენსტრუაციის შეწყვეტით:
// 30-35 წლის ასაკში
/// 35-40 წლის ასაკში
/// 40-45 წლის ასაკში
/// 45-50 წლის ასაკში

//// პროგესტერონის სინჯით შეიძლება დავადასტუროთ ან უარვყოთ ამენორეის შემდეგი ფორმა:
/// ჰიპოფიზური ამენორეა
/// ჰიპოთალამური ამენორეა
/// საკვერცხისმიერი ამენორეა
// საშვილოსნოსმიერი ამენორეა

//// ჩამოთვლილთაგან, რომელი ჰორმონების განსაზღვრა დაგვეხმარება საკვერცხისმიერი და ცენტრალური ამენორიის სადიფერენციაციოდ?
/// პროგესტერონი და ესტროგენი
// ფოლიკულომასტიმულირებელი და მალუთეინიზებელი
/// ფოლიკულომასტიმულირებელი და პროგესტერონი
/// ფოლიკულომასტიმულირებელი და ესტროგენი

////ანოვულაციური სისხლდენის დროს საშვილოსნოს ლორწოვან გარსში ვითარდება:
// მხოლოდ პროლიფერაციული ცვლილებები
/// მხოლოდ სეკრეტორული ცვლილებები
/// როგორც პროლიფერაციული ისე სეკრეტორული ცვლილებები
/// არც პროლიფერაციული არც სეკრეტორული ცვლილებები

//// ფოლიკულის პერსისტენციით მიმდინარე ანოვულაციური ციკლის დროს ადგილი აქვს
// ჰიპერსტროგენემიას
/// ჰიპერპროგესტერონემიას
/// ჰიპერპროლაქტინემიას
/// ჰიპერანდროგენემიას

//// ფოლიკულის პერსისტენციით მიმდინარე ანოვულაციური ციკლის დროს საშოს ნაცხში კოლპოციტოლოგიური კვლევით კარიოპიკნოზური ინდექსი არის
///30-40%
///40-50%
///20-30%
//60-70%

//// როგორია კარიოპიკნოტური ინდექსის მაჩვენებელი ფოლიკულის ატრეზიით მიმდინარე ანოვულაციური ციკლის დროს ?
// 30-40%
///40-50%
///20-30%
///60-70%

//// რომელი ჰორმონის ჰიპერპროდუქცია უდევს საფუძვლად ანდრობლასტომით გამოწვეულ ამენორეას :
/// დეჰიდროეპიანდროსტენდიონი
// ტესტოსტერონი
/// ანდროსტენდიონი
///კორტიზოლი

//// 19 წლის პაციენტს აღენიშნება პირველადი ამენორეა. ყურადღებას იპყრობს მისი სიდაბლე, კასრისებური გულმკერდი და დაბალი ინტელექტი.

ულტრაბგერითი კვლევისას ნანახია სასქესო ორგანოების ჰიპოპლაზია. რომელი პათლოგია აღენიშნება პაციენტს: :
/// შიენის სინდრომი
// შერეშევსკ ტერნერის სინდრომი
/// შტეინ ლევენტალის სინდრომი
///ადრენოგენიტალური სინდრომი

//// 18 წლის პაციენტს, აღენიშნება პირველადი ამენორეა. იგი მაღალია, მეორადი სასქესო ნიშნები განვითარებული არ აქვს, თმინაობა ბოქვენზე სუსტად გამოხატული, ულტრაბგერითი კვლევისას ნანახია რუდიმენტული საშვილოსნო. რომელი დამატებითი კვლევაა საჭირო დიაგნოზის დასაზუსტებლად
/// თავის ქალის მაგნიტურ რეზონანსული კვლევა
/// სისხლში ჰორმონების კვლევა
/// ოსტეოდენსიტომეტრია
// ციტოგენეტიკური კვლევა

//// 17 წლის პაციენტის, რომელსაც აღენიშნება პირველადი ამენორეა. დაუდგინდა საკვერცხეების პირველადი ჰიპოფუნქციის დიაგნოზი. ბავშვთა ასაკში ფოლიკულური აპარატის დაზიანების ყველაზე უფრო რეალური მიზეზი შესაძლოა ყოფილიყო:
/// ვირუსული პაროტიტი
/// ქუნთრუშა
// ბავშვთა ასაკის ტუბერკულოზი
/// ფსიქოგენური სტრესი

//// რომელი ჰორმონის დონეზეა დამოკიდებული:საკვერცხეების პირველადი ჰიპოფუნქციის დროს სასქესო ნიშნების განუვითარებლობა
/// პროლაქტინის
/// პროგესტერონის
// ესტროგენის
/// ფოლიკულმასტიმულირებული ჰორმონის

//// 18 წლის პაციენტს, რომელსაც აღენიშნებოდა პირველადი ამენორეა. დაუდგინდა დიაგნოზი ლორენს-მუნი-ბიდლის სინდრომი. ქვემოთჩამოთვლილთაგან კიდევ რომელი კლინიკური ნიშანია დამახასითებელი ამ თანდაყოლილი ოჯახური დაავადებისათვის :
/// ანემია
/// კახექსია
/// გალაქტორეა
// მკვეთრი გონებრივი ჩამორჩენა

//// ახალშობილ გოგონას დაბადებისთანავე აღმოაჩნდა ქალური ფსევდოჰერმაფროდიტიზმის ნიშნები: კლიტორი გადიდებული კლიტორი, განუვითარებელი საშო და სასქესო ბაგეები. ღა რომელი ჰორმონის ჰიპერპროდუქცია განაპირობებს ამ მდგომარეობის განვითარებას

// ადრენოკორტიკოტროპული
/// პროლაქტინი
/// სომატოტროპული
/// ლუთეოტროპული

//// 30 წლის პაციენტი უჩივის მეორადად განვითარებულ ამენორეას და გალაქტორეას. რომელი პრეპარატის ხანგრძლივმა მიღებან შეიძლება გამოიწვიოს აღნიშნული პათოლოგია :
/// ანტიბიოტიკის
///ანტიჰისტამინის
// ტრანქვილიზატორის
/// კალცი ანტაგონისტის

//// 25 წლის პაციენტი, ძლიერი სტრესის შემდეგ აღნიშნავს მენსტრუაციის შეწყვეტას 8 თვეის განმავლობაში. ამასთან ერთად უჩივის ზიზღს საკვების მიმართ, საერთო სისუსტეს. აღენიშნება ბრადიკარდია. დაუდგინდა ნერვული ანორექსიის დიაგნოზი. შინაგანი სეკრეციის რომელი ჯირკვლის ფუნქციის დარღვევა შეიძლება იყოს აღნიშნული პათოლოგიის მიზეზი :
/// ფარისებრი და სარძევე ჯირკვალი
/// თირკმელზედა ჯირკვალი და კუჭქვეშა ჯირკვალი
// ფარისებრი და თირკმელზედა ჯირკვალი
/// სარძევე ჯირკვალი და კუჭქვეშა ჯირკვალი

//// პაციენტი უჩივის მენსტრუაციის არ არსებობას 7 თვის განმავლობაში ლაბორატორიული გამოკვლევებით სისხლში ადრენოკორტიკოტროპული ჰორმონის და ოქსიკორტიკოსტეროიდების შემცველობა მნიშვნელოვნადაა მომატებულია. გონადოტროპინების და ესტროგენების ექსკრეცია კი შემცირებულია. დაასახელეთ პათოლოგია რომლის დროსაც ადგილი აქვს აღნიშნული ლაბორატორიული მონაცემების არსებობას,
/// ჰიპოფიზის აციდოფილური ადენომა
// ჰიპოფიზის ბაზოფილური ადენომა
/// ჰიპოფიზის ქრომოფობული ადენომა
/// ადენოჰიპოფის ნეკროზი

//// პაციენტს აღენიშნება მეორადი ამენორეა, უნაყოფობა. ექოსკოპიური კვლევით საკვერცხეები გადიდებულია, აღინიშნება თეკა ქსოვილის ელემენტების ჰიპერპლაზია და თეთრი გარსის გასქელება, რის საფუძველზეც დაუდგინდა შტეინ ლევენტალის სინდრომი. რომელი კარდინალური კლინიკური ნიშანია დამახასიათებელი ამ დაავადებისათვის რომელიც თან სდევს ამ პათოლოგიას
// ჰიპერტრიქოზი
/// გალაქტორეა
///აგალაქტია
/// კახექსია

//// 28 წლის პაციენტს აღენიშნება მეორადი ამენორეა. ჩაუტარდა პროგესტერონის სინჯი, რომელიც ღმოჩნდა დადებითი. შემდეგ განისაზღვრა სისხლში პროლაქტინის დონე, რომელიც აღმოჩნდა მომატებული. რომელი გამოკვლევის ჩატარებაა აუცილებლი.:
// თავის ქალის რენტგენოგრაფია
/// თავის ტვინის სისხლძარღვების კონტრასტირება
/// თავის ტვინის მაგნიტურ რეზონანსული კვლევა
/// თავის ქალის კომპიუტერული ტომოგრაფია

//// ამონერეა კომბინირებულია ჰიპერტრიქოზთან. ანდროგენიზაციის წყაროს დასადგენად ტარდება სინჯი:
// დექსამეტაზონით
/// პროგესტერონით
//// ესტროგენ - პროგესტერონით
/// სუფთა ესტროგენით

//// პაციენტი უჩივის მეორად ამენორეას, რომელიც განუვითარდა მძიმე ინფექციური დაავადების შემდეგ. აღნიშნული მდგომარეობა :
// სპეციალურ მკურნალობას არ საჭიროებს
/// საჭიროებს მკურნალობს ანტიბიოტიკით
/// საჭიროებს მკურნალობას დოფამინის აგონისტით
/// საჭიროებს მკურნალობას კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივით

//// დისგინეზიური სათესლე ხშირად განიცდის
// მალიგნიზაციას
/// უკუგანვითარებას
/// ჰიპერტროფიას
/// დისტროფიას

//// იცენკო კუშინგის დაავადების დროს განვითარებული ამენორეის შემღხვევაში რომელი ჰორმონის ჰიპერპროდუქციას აქვს ადგილი
 // ადრენოკორტიკოტროპულის
/// ფოლიკულომასტიმულირებელის
/// სომატოტროპულის
/// ლუთეოტროპულის

//// გონადების დისგინეზია არის :
/// შეძენილი პათოლოგია
// ქრომოსომული პათოლოგია
/// ფერმენტული სისტემის პათოლოგია
/// შინაგანი სეკრეციის ჯირკვლის პათოლოგია

//// ფიზიოლოგიური ამენორეა არის მენსტრუაციის არ არსებობა
// ორსულობის დროს
/// საშვილოსნოს მიომის დროს

/// ენდომეტრიტის დროს
/// საკვერცხეების პოლიკისტოზის დროს

//// ფსევდოორსულობის ფონზე არსებული ამენორეის დროს ნაჩვენებია
// ფსიქოთერაპია
/// თერაპია პროგესტერონით
/// თერაპია ესტროგენებით
/// თერაპია კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივით

//// პირველადი დისმენორეის ძირითად მიზეზად ითვლება
// პროსტაგლანდინების ჰიპერპროდუქცია
/// ესტროგენების ჰიპერსეკრეცია
/// პროგესტერონის ჰიპერსეკრეცია
/// ესტროგენების ჰიპერსეკრეცია

//// საშვილოსნოს ოვულაციური სისხლდენის დროს ლუთეინური ფაზის შემოკლების კლინიკური გამოვლინებაა:
// სისხლიანი გამონადენი მენსტრუაციამდე და შემდეგ
/// ჭარბი სისხლდენა მენსტრუაციის დროს- მენორაგია
/// გახშირებული მენსტრუაცია ტაქიმენორეა
/// მცირე სისხლიანი გამონადენი მენსტრუაციის დროს ჰიპომენორეა

//// ფოლიკულის პერსისტენციის გასქელება, რო დროს აღინიშნება საშვილოსნოს ლორწოვანი გარსის ჰიპერპლაზია. რომელი ჰორმონის ჰიპერპროდუქცია იწვევს ამ ცვლილებებს
/// პროგესტერონის
// ესტროგენის
/// ფოლიკულმასტიმულირებული ჰორმონის
/// პროლაქტინის

//// 42 წლის ქალმა მომართა კლინიკას ჩივილით გახანგრძლივებულ ჭარბ მენსტრუაციაზე. სისხლდენის შეჩერების მიზნით დაენიშნა კომბინირებული ორალური კონტრაცეპტივი. რა მექნიზმით იწვევს აღნიშნული პრეპარატი ჰორმონალურ ჰემოსტაზს
// ჰიპოფიზის გონადოტროპული ჰორმონის პროდუქცია კავდება და ორგანიზმში ნარჩუნდება სტეროიდების მაღალი კონცენტრაცია
/// ჰიპოფიზის გონადოტროპული ჰორმონის პროდუქცია კავდება და ორგანიზმში ნარჩუნდება სტეროიდების ნორმალური კონცენტრაცია
/// ჰიპოფიზის გონადოტროპული ჰორმონის პროდუქცია კავდება და ორგანიზმში ნარჩუნდება სტეროიდების დაბალი კონცენტრაცია
/// მათი მოქედების მექნიზმი დადგენილი არ არის

//// ანოვულაციური მენსტრუალური ციკლის მაჩვენებელია:
// მონოფაზური ბაზალური ტემპერატურა
/// გუგის სიმპტომი უარყოფითი

/// სისხლში პროგესტერონის მაღალი დონე I ფაზაში
/// ესტროგენის დაბალი დონე II ფაზაში

//// ყელის ლორწოს კრისტალიზაცია ე.წ. «გვიმრის « სიმპტომის არსებობას განაპირობებს ჰორმონი
/// პროგესტერონი
// ესტროგენი
/// ფოლიკულმასტიმულირებული ჰორმონი
/// პროლაქტინი

//// იუვენილური სისხლდენისას ადექვატური ჰემოსტაზი მიიღწევა :
// ორალური კონტრაცეპტივების გამოყენებით
/// დოფამინის აგონისტის გამოყენებით
/// შესაკუმში საშუალებები
/// კალციუმის პრეპარატების გამოყენებით

//// 40 წლის პაციენტს გახანგრძლივებული და ჭარბი მენსტრუაციის ფონე განუვითარდა პოსტჰემორაგიული ანემია. (52) რომელი ტიპის ჰემოსტაზის გამოყენება არ არის მიზანშეწონილი ამ შემთვევაში:
/// ჰემოსტაზი ესტროგენებით
// ჰემოსტაზი პროგესტერონით
/// საშვილოსნოს ღრუს გამოფხეკით
/// ჰემოსტაზი კალციუმის და ოქსიტოცინის გამოყენებით

//// 47 წლის ქალს აღენიშნება გახანგრძლივებული და ჭარბი მენსტრუაცია ხშირი რეციდივებით. დგება მენსტრულური ფუნქციის შეწყვეტის საკითხი. რომელი ტიპის პრეპარატი შეიძლება გამოვიყენოთ ამ მიზნით
/// ესტროგენები
/// საშვილოსნოს შესაკუმში საშუალება
/// სინთეზური ესტროგენ- გესტაგენური პრეპარატები
// ტესტროსტერონ პროპიონატი

//// მენორაგიის ხშირი გამომწვევიაა :
// ლორწქვეშა მიომური კვანძი
/// სუბსეროზული მიომური კვანში
/// ინტერსტიციული მიომური კვანძი
/// ადენომიოზი

//// სიმონდსის დაავადებით გამოწვეული ამენორეის შემთხვევაში დაზიანება ლოკალიზებულია:
// ადენოჰიპიფიზში
/// ჰიპოთალამუსში
///თავის ტვინის ქერქში
/// ნათხემში

//// ტესტიკულურ ფემინიზაციას ახასიათებს :
/// კარგად განვითარებული საშვილოსნო
/// რუდიმენტული საშვილოსნო
// ნორმალურად განვითარებული საშვილოსნო
/// საშვილოსნოს მილების არსებობა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, წელიწადში რამდენჯერ უნდა ჩაუტარდეთ გინეკოლოგიური გასინჯვები, 30-დან 40 წლამდე ასაკის ქალებს, საშვილოსნოს ყელის ფონური და კიბოსწინარე დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით?
\\\ 1-ჯერ
\\ 2-ჯერ
\\\ 3-ჯერ
\\\ 4-ჯერ

\\\\ ჩამოთვლილთაგან, წელიწადში რამდენჯერ უნდა ჩაუტარდეთ გინეკოლოგიური გასინჯვები, 40 წლის ზემოთ ასაკის ქალებს, საშვილოსნოს ყელის ფონური და კიბოსწინარე დაავადებების პროფილაქტიკის მიზნით?
\\\ 1-ჯერ
\\\ 2-ჯერ
\\ 3-ჯერ
\\\ 4-ჯერ

\\\\ 25 წლის ქალს, რომელიც არის 7-8 კვირის ორსული, დაესვა საშვილოსნოს ყელის პრეინვაზიური კიბოს დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, ავადმყოფის მართვის რომელი ტაქტიკაა სწორი?
\\\ ორსულობის პროლონგირება და დიათერმოკონიზაცია მშობიარობიდან 2 კვირის შემდეგ.
\\ ორსულობის შეწყვეტა და დიათერმოკონიზაცია 2 კვირის შემდეგ.
\\\ ორსულობის პროლონგირება და პერიოდულად ციტოლოგიური კონტროლი
\\\ საშვილოსნოს ყელის დიათერმოკონიზაცია

\\\\ 52 წლის ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის მიკროკარცინომის დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, ქალის ასაკისა და ავთვისებიანი სიმსივნის სტადიის გათვალისწინებით, რა სახის ქირურგიული ჩარევაა მიზანშეწონილი?
\\\ საშვილოსნოს ყელის კონუსისებრი ელექტროექსციზია
\\\ საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატების გარეშე
\\ საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატებთან ერთად
\\\ გაფართოებული პანჰისტერექტომია

\\\\ 35 წლის ქალს, ორსულობის 20 კვირის ვადაზე, დაესვა საშვილოსნოს ყელის პრეინვაზიური კიბოს დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, ავადმყოფის მართვის რომელი ტაქტიკაა სწორი?
\\ ორსულობის პროლონგირება და ციტოლოგიური კონტროლი დინამიკაში
\\\ ორსულობის შეწყვეტა და საშვილოსნოს ყელის დიათერმოკონიზაცია

\\\ საშვილოსნოს ყელის კონუსისებრი ელექტროექსციზია
\\\ საშვილოსნოს ყელის დიათერმოკონიზაცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელ ასაკობრივ ჯგუფში გვხვდება, უფრო ხშირად, საშვილოსნოს ყელის კიბო?
\\\ 20 წლამდე
\\\ 20-დან 30 წლამდე
\\\ 30-დან 40 წლამდე
\\ 40-დან 50 წლამდე

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის კიბოს რომელი სტადიის დროს არის პროცესი გავრცელებული პარამეტრიუმზე, მაგრამ არ არის გადასული მენჯის კედლებზე?
\\\ I სტადია
\\ II სტადია
\\\ III სტადია
\\\ IV სტადია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის კიბოს რომელი სტადიის დროს არის პროცესი გავრცელებული მენჯის კედლებზე?
\\\ I სტადია
\\\ II სტადია
\\ III სტადია
\\\ IV სტადია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რას მოგვაგონებს ვიზუალურად საშვილოსნოს ყელის კიბოს ეკზოფიტური ფორმა?
\\\ მოხარშულ თევზს
\\\ ფიჭას
\\\ ყურძნის მტევანს
\\ ყვავილოვან კომბოსტოს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა სახის ეპითელიუმით არის წარმოდგენილი საშვილოსნოს ყელის საშოსმხრივი ნაწილის კიბოს ჰისტოლოგიური შენება?
\\ მრავალშრიანი ბრტყელი
\\\ ცილინდრული
\\\ ჯირკვლოვანი
\\\ კუბური

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა უჯრედული გენეზის არის საშვილოსნოს ყელის არხის კიბო?
\\\ ლუთეინური
\\\ თეკა-ლუთეინური
\\ ცილინდრული ეპითელიუმის
\\\ მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმის

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის რომელი პათოლოგია ითვლება კიბოსწინარე დაავადებად?
\\\ მარტივი ლეიკოპლაკია
\\ დისპლაზია
\\\ რეტენციული კისტა
\\\ პაპილომა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელია საშვილოსნოს ყელის კიბოს წამყვანი კლინიკური სიმპტომი?
\\\ ტკივილი მენჯის არეში
\\\ ლორწოვან-ჩირქოვანი თეთრად შლა
\\ კონტაქტური სისხლდენები
\\\ აციკლური სისხლდენები საშვილოსნოდან

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის რომელ ნაწილში ლოკალიზდება პრეინვაზიური კიბო ახალგაზრდა ქალებში?
\\\ არხში
\\\ წინა ბაგეზე
\\ გარეთა პირის მიდამოში
\\\ შიგნითა პირის მიდამოში

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის რომელ ნაწილში მდებარეობს საზღვარი, მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმისა ცილინდრულ ეპითელიუმთან, ქალებში 50 წლის ზემოთ?
\\\ გარეთა პირის მიდამოში
\\\ ყელის არხის შუა მესამედში
\\ ყელის არხის ქვედა მესამედში
\\\ შიგნითა პირის მიდამოში

\\\\ 45 წლის ქალმა მიმართა კლინიკას ჩივილით სისხლდენაზე კოიტუსის შემდეგ. სარკეებში დათვალიერებისას, საშვილოსნოს ყელის წინა ბაგეზე აღინიშნება ყვავილოვანი კომბოსტოს მსგავსი წარმონაქმნი, ხორკლიანი ზედაპირით, ზომით 1X1 სმ, შეხებით სისხლმდენი. ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის რომელი პათოლოგიაა ყველაზე უფრო სავარაუდო დიაგნოზი?
\\\ პრეინვაზიური კიბო
\\\ მიკროკარცინომა
\\ ინვაზიური კიბო
\\\ პოლიპი

\\\\ 45 წლის ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბოს წინასწარი დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, გამოკვლევის რომელი მეთოდი დაადასტურებს ყველაზე მეტად დიაგნოზს?
\\\ საშვილოსნოს ყელის ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევა
\\\ კოლპომიკროსკოპია

\\ ბიოპტატის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა
\\\ შილერის ცდა

\\\\ 45 წლის ქალმა მიმართა კლინიკას ჩივილით სისხლდენაზე კოიტუსის შემდეგ. სარკეებში დათვალიერებისას, საშვილოსნოს ყელის წინა ბაგეზე აღინიშნება ყვავილოვანი კომბოსტოს მსგავსი წარმონაქმნი ხორკლიანი ზედაპირით, ზომით 1X1 სმ, შეხებით სისხლმდენი. დაესვა საშვილოსნოს ყელის ინვაზიური კიბოს დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის კიბოს კლინიკურად გამოხატულ რომელ ფორმასთან გვაქვს საქმე?
\\ ეკზოფიტურ
\\\ ენდოფიტურ
\\\ შერეულ
\\\ წაშლილ

\\\\ 45 წლის ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის კიბოს Iბ სტადიის დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, რა სახის მკურნალობას ჩაუტარებთ?
\\ კომბინირებულს
\\\ კომპლექსურს
\\\ ქირურგიულს
\\\ სხივურს

\\\\ 45 წლის ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის კიბოს Iბ სტადიის დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, განსაზღვრეთ ქირურგიული ჩარევის მასშტაბი:
\\\ საშვილოსნოს ყელის კონუსისებრი ელექტროექსციზია
\\\ საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატების გარეშე
\\\ საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატებთან ერთად
\\ გაფართოებული პანჰისტერექტომია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, გამოკვლევის რომელი მეთოდით ხდება საშვილოსნოს ყელის პრეინვაზიური და ინვაზიური კიბოს დიაგნოზის დიფერენცირება?
\\\ შილერის ცდით
\\\ ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევით
\\\ კოლპომიკროსკოპიით
\\ ბიოპტატის ჰისტოლოგიური გამოკვლევით

\\\\ 54 წლის ქალს ჩაუტარდა საშვილოსნოს ყელის ბიოფსია. ბიოპტატის ჰისტოლოგიური გამოკვლევით, აღმოჩნდა ბრტყელუჯრედოვანი გაურქოვანებელი კიბოს სურათი. სტრომაში ინვაზიის სიღრმეა 5 მმ. ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის კიბოს რომელ სტადიასთან გვაქვს საქმე?
\\\ 0
\\\ Iა
\\ Iბ
\\\ II

\\\\ 45 წლის ქალმა მიმართა გინეკოლოგს ჩივილით თეთრად შლაზე და სის-

ხლიან გამონადენზე საშოდან. სარკეებში დათვალიერებისას, საშვილოსნოს ყელის წინა ბაგეზე აღმოჩნდა მკრთალი ფერის, გლუვი ზედაპირის მქონე უბანი, რამდენადმე ამობურცული გარშემომდებარე ქსოვილებისაგან და შეხებით ადვილად სისხლმდენი. ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის რომელი პათოლოგიაა ყველაზე უფრო სავარაუდო დიაგნოზი?
\\\ ფსევდოეროზია
\\\ მძიმე ფორმის დისპლაზია
\\ პრეინვაზიური კიბო
\\\ ჭეშმარიტი ეროზია

\\\\ 45 წლის ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის პრეინვაზიური კიბოს წინასწარი დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, გამოკვლევის რომელ მეთოდს ენიჭება ძირითადი როლი აღნიშნული პათოლოგიის დიაგნოსტიკაში?
\\\ საშვილოსნოს ყელის ნაცხის ციტოლოგიურ გამოკვლევას
\\\ კოლპომიკროსკოპიას
\\ ბიოპტატის ჰისტომორფოლოგიურ გამოკვლევას
\\\ შილერის ცდას

\\\\ 40 წლის ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის პრეინვაზიური კიბოს დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, რა სახის მკურნალობას ჩაუტარებთ?
\\\ კომბინირებულს
\\\ კომპლექსურს
\\ ქირურგიულს
\\\ სხივურს

\\\\ 35 წლის ქალს დაესვა საშვილოსნოს ყელის პრეინვაზიური კიბოს დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, განსაზღვრეთ ქირურგიული ჩარევის მასშტაბი:
\\\ საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატების გარეშე
\\\ საშვილოსნოს ექსტირპაცია დანამატებთან ერთად
\\\ გაფართოებული პანჰისტერექტომია
\\ საშვილოსნოს ყელის კონუსისებრი ელექტროექსციზია

\\\\ თუ საშვილოსნოს ყელის პათოლოგიის დროს ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევისას აღმოჩნდა ატიპიური უჯრედები, ჩამოთვლილთაგან, რა იქნება თქვენი შემდგომი ქმედება?
\\\ ნაცხის განმეორებითი აღება
\\\ დისპანსერული დაკვირვება 1 წლის განმავლობაში პერიოდული ციტოლოგიური კონტროლით
\\ კოლპოსკოპია და მიზნობრივი ბიოფსია
\\\ საშვილოსნოს ყელის კონიზაცია

\\\\ 48 წლის ქალს კლინიკაში დაესვა საშვილოსნოს ყელის ბრტყელუჯრედოვანი ინვაზიური კიბოს დიაგნოზი. პროცესი გავრცელებულია საშოს ქვედა მესამედზე. მეტასტაზირების ხარისხის გამოკვლევისას, დადგენილია მარჯვენა-მხრივი ჰიდრონეფროზი. ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის კიბოს რო-

მელ სტადიასთან გვაქვს საქმე?
\\\ II ბ სტადია
\\\ III ა სტადია
\\ III ბ სტადია
\\\ IV ა სტადია

\\\\ 48 წლის ქალს კლინიკაში დაესვა საშვილოსნოს ყელის კიბოს III ბ სტადიის დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, რა სახის მკურნალობას ჩაუტარებთ?
\\\ კომბინირებულს
\\\ კომპლექსურს
\\\ ქირურგიულს
\\ სხივურს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის კიბოს რომელი სტადიის დროს ტარდება სიმპტომური მკურნალობა?
\\\ I
\\\ II
\\\ III
\\ IV

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მკურნალობის რა სახეებს მოიცავს საშვილოსნოს ყელის კიბოს თერაპიის კომბინირებული მეთოდი?
\\\ ქირურგიული ჩარევა და მედიკამენტოზური თერაპია
\\ ქირურგიული ჩარევა და სხივური თერაპია
\\\ სხივური და ქიმიოთერაპია
\\\ ქირურგიული ჩარევა და ჰორმონოთერაპია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ქალის ცხოვრების რომელ პერიოდში ვითარდება ვულვის კრაუროზი და ლეიკოპლაკია?
\\\ ბავშვობის
\\\ პუბერტატულ
\\\ რეპროდუქციულ
\\ პრე- და პოსტმენოპაუზის

\\\\ 63 წლის ქალმა მიმართა გინეკოლოგს ჩივილით ძლიერ ქავილზე ვულვის მიდამოში და ფსიქოემოციურ დარღვევებზე. ქავილი დაეწყო რამოდენიმე თვის წინ და თანდათანობით პროგრესირებს. გარეგანი გასინჯვით, მცირე და დიდი სასირცხო ბაგეები შეჭმუხნულია და ატროფირებული, საშოს კარიბჭე შევიწროებული და რიგიდულია. კანი ვულვის მიდამოში “სადაფისებური” შეფერილობისაა. ჩამოთვლილთაგან, ვულვის რომელი პათოლოგიაა ყველაზე უფრო სავარაუდო დიაგნოზი?
\\\ ესენციური ქავილი
\\\ ნეიროდერმიტი
\\ კრაუროზი
\\\ ლეიკოპლაკია

\\\\ 63 წლის ქალს, ანამნეზისა და ვიზუალური დათვალიერების საფუძველზე, დაესვა ვულვის კრაუროზის წინასწარი დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, რომელი მეთოდით ვიწყებთ გამოკვლევას დიაგნოზის დაზუსტების მიზნით?
\\\ ციტოლოგიური
\\ კოლპოსკოპიური
\\\ ჰისტოლოგიური
\\\ რადიოიზოტოპური

\\\\ 63 წლის ქალს კლინიკაში დაესვა ვულვის კრაუროზის დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, რომელი მეთოდი არ გამოიყენება ვულვის კრაუროზის სამკურნალოდ?
\\\ სამკურნალო პრეპარატების ელექტროფორეზი
\\\ კრიოთერაპია
\\\ ჰორმონოთერაპია
\\\ ფსიქოთერაპია
\\ ჰიპერთერმია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, ვულვის რომელი დაავადების დროს არის აუცილებელი ფსიქოთერაპიის ჩატარება?
\\\ ლეიკოპლაკია
\\ კრაუროზი
\\\ მიომა
\\\ კიბო

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის რომელი პათოლოგიაა კიბოსწინარე დაავადება?
\\\ ფსევდოეროზია
\\\ მარტივი ლეიკოპლაკია
\\\ პაპილომა
\\ დისპლაზია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელია საშვილოსნოს ყელის დისპლაზიის დიაგნოსტიკის ყველაზე ინფორმატიული მეთოდი?
\\\ გაფართოებული კოლპოსკოპია
\\ ბიოპტატის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა
\\\ ნაცხი-ანაბეჭდის ციტოლოგიური გამოკვლევა
\\\ კოლპომიკროსკოპია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელია საშვილოსნოს ყელის დისპლაზიის ციტოლოგიური ექვივალენტი?
\\\ ჰიპერქრომატოზი
\\ დისკარიოზი
\\\ კარიოლიზისი
\\\ ჰიპოქრომატოზი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მრავალშრიანი ბრტყელი ეპითელიუმის რომელ შრეში აღინიშნება მორფოლოგიური ცვლილებები საშვილოსნოს ყელის დისპლაზიის მძიმე ფორმის დროს?
\\\ ყველა შრეში
\\\ მხოლოდ ზედაპირულში
\\\ მხოლოდ ბაზალურში
\\ ყველგან, გარდა ზედაპირულისა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის დაავადებების რომელ ჯგუფს მიეკუთვნება დისპლაზია?
\\ კიბოსწინარე
\\\ ფონური
\\\ ავთვისებიანი
\\\ ანთებითი

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რამდენ თვეში ერთხელ საჭიროებენ ავადმყოფები, დისპლაზიის მკურნალობის ჩატარების შემდეგ, კოლპოსკოპიურ და ციტოლოგიურ კონტროლს?
\\\ 1
\\ 3
\\\ 6
\\\ 12

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რა სახის ეპითელიუმით არის დაფარული საშვილოსნოს ყელის ფსევდოეროზია?
\\\ მრავალშრიანი ბრტყელი
\\ ცილინდრული
\\\ მოციმციმე
\\\ კუბური

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის ფონური პროცესების მკურნალობის რომელ მეთოდს ენიჭება უპირატესობა, როცა ადგილი აქვს საშვილოსნოს ყელზე გამოხატულ ანატომიურ ცვლილებებს (ძველი ჩახევები)?
\\\ მედიკამენტოზურს
\\\ კოაგულაციურს
\\ ქირურგიულს
\\\ კომპლექსურს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, მაქსიმუმ, რამდენ კვირას გრძელდება საშვილოსნოს ყელის ეროზიის მედიკამენტოზური მკურნალობა?
\\\ 1-2
\\ 2-3
\\\ 3-4
\\\ 4-5

\\\\ ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის საშოსმხრივ ნაწილზე, ცილინდრული ეპითელიუმის ექტოპიის რომელ სახეს ეწოდება ექტროპიონი?
\\ პოსტტრავმულს
\\\ თანდაყოლილს
\\\ დისჰორმონალურს
\\\ პოსტეროზიულს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ მიეკუთვნება ფსევდოეროზიის მორფოლოგიურ ფორმებს?
\\\ ჯირკვლოვანი
\\\ პაპილარული
\\ პროლიფერაციული
\\\ ეპიდერმიზებული

\\\\ 43 წლის ქალმა მიმართა გინეკოლოგს პროფილაქტიკური გასინჯვისათვის. სარკეებში დათვალიერებით, საშვილოსნოს ყელის წინა ბაგეზე აღინიშნება უსწორმასწორო ფორმის, ღია წითელი, მოლურჯო ელფერით, ლაქა, ზომით 2X1 სმ, შეხებით ადვილად სისხლმდენი. ბიმანუალური გასინჯვით ცვლილებები არ აღინიშნება. ჩამოთვლილთაგან, საშვილოსნოს ყელის რომელი პათოლოგიაა ყველაზე უფრო სავარაუდო დიაგნოზი?
\\\ ჭეშმარიტი ეროზია
\\ ერითროპლაკია
\\\ პრეინვაზიური კიბო
\\\ მძიმე ფორმის დისპლაზია

\\\\ 43 წლის ქალს, რომელმაც მიმართა გინეკოლოგს პროფილაქტიკური გასინჯვისათვის, დაესვა საშვილოსნოს ყელის ერითროპლაკიის წინასწარი დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, რომელი გამოკვლევის ჩატარებაა აუცილებელი დიაგნოზის დასაზუსტებლად?
\\\ შილერის ცდა
\\\ კოლპომიკროსკოპია
\\\ საშვილოსნოს ყელის ნაცხის ციტოლოგიური გამოკვლევა
\\ ბიოპტატის ჰისტომორფოლოგიური გამოკვლევა

\\\\ 43 წლის ქალს, რომელმაც მიმართა გინეკოლოგს პროფილაქტიკური გასინჯვისათვის, დაესვა საშვილოსნოს ყელის ერითროპლაკიის დიაგნოზი. ჩამოთვლილთაგან, რა სახის მკურნალობას ენიჭება უპირატესობა აღნიშნული პათოლოგიის დროს?
\\ ელექტროკონიზაცია
\\\ დიათერმოკოაგულაცია
\\\ კრიოდესტრუქცია
\\\ ქიმიური კოაგულაცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელია საშვილოსნოს ყელის ფსევდოეროზიის მკურნა-

ლობის ძირითადი მეთოდი?
\\\ მედიკამენტოზური
\\ დიათერმოკოაგულაცია
\\\ ქირურგიული
\\\ კომპლექსური

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი არ არის გულის დაავადების სარწმუნო სიმპტომი ორსულებში?
\\\ გულის ზომების მომატება
\\\ სისტოლური და დიასტოლური შუილის არსებობა
\\\ არითმია
\\ შეშუპება ქვედა კიდურებზე

\\\\ ჩამოთვლილთაგან, გულის რომელი პათოლოგიაა ყველაზე საშიში, გულის უკმარისობის განვითარების თვალსაზრისით, ორსულობისა და მშობიარობის დროს?
\\\ მიტრალური სტენოზი
\\\ აორტალური სტენოზი
\\ ეიზენმენგერის სინდრომი
\\\ მიტრალური სარქვლის უკმარისობა

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რამდენ პროცენტს აღწევს დედის სიკვდილიანობა, ეიზენმენგერის სინდრომის დროს?
\\\ 10
\\\ 20
\\\ 30
\\ 50

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რისი გაკეთებაა აუცილებელი გულის პათოლოგიით დაავადებული ქალის მშობიარობის დროს, გულის უკმარისობის განვითარების თავიდან აცილების თვალსაზრისით?
\\\ გულის მოქმედებაზე მონიტორული კონტროლი
\\ გაუტკივარება
\\\ ცენტრალური და პერიფერიული ჰემოდინამიკის კონტროლი
\\\ ელექტროლიტური ბალანსის კორექცია

\\\\ ჩამოთვლილთაგან, გაუტკივარების რა სახეს ენიჭება უპირატესობა გულის პათოლოგიით დაავადებული ქალების მშობიარობის დროს?
\\\ მედიკამენტოზურს
\\\ ინჰალაციურს
\\\ ადგილობრივს
\\ ეპიდურალურს

\\\\ ჩამოთვლილთაგან, უპირატესად, რა გზით ხდება გულის პათოლოგიით დაავადებული ქალების მშობიარობა, სამეანო გართულებების არ არსებობის შემ-

თხვევაში?
\\\ ჩარევის გარეშე, ბუნებრივი სამშობიარო გზებით
\\\ სამშობიარო მოქმედების აღძვრით
\\\ საკეისრო კვეთის ოპერაციით
\\ სამეანო მაშების დადების ოპერაციით

\\\\ ჩამოთვლილთაგან, რომელი პრეპარატის გამოყენებაა მიზანშეწონილი, მშობიარობის III პერიოდის აქტიური მართვისას, ქალებში გულის პათოლოგიით?
\\ მხოლოდ ოქსიტოცინის
